*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

***სსიპ ქალაქ თბილისის N 213 აჯარო სკოლა***

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: **ნინო შიუკაშვილი**

**წევრები:**

**ნანა მიქავა** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
**ირინა გოგონაია** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**თეონა მაცაბერიძე** (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**ზურაბ ურიადმყოფელი** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**თამარ ძველაია** (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**ლილი კაცაძე** (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**ლია ცერცვაძე** (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**მაია ჩაჩხიანი** (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
**ნათია ბრეგაძე** (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).
**ედუარდ ნაკაიძე** ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

## ნაწილი I. შესავალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ: 226527586 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, გუმბათების წყაროს პირველი შესახვევი N5 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, გუმბათების წყაროს პირველი შესახვევი N5 |
| საფოსტო ინდექსი | **014** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/sch23ools/2045?schoolName |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi213@mes,gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577 616 142 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 2 23 0001066540 01/09/2023 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | |
|---|---|
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 23-24 ოქტომბერი, 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქ. თბილისი, ტაბახმელა, გუმბათების წყაროს პირველი შესახვევი N5 |
| 2 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **საბაზო** საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქ. თბილისი, ტაბახმელა, გუმბათების წყაროს პირველი შესახვევი N5 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3** | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | **საშუალო** საგანმანათლებლო საფეხური | **ქართული ენა** | ქ. თბილისი, ტაბახმელა, გუმბათების წყაროს პირველი შესახვევი N5 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 1 სექტემბრის ბრძანება MES 2 23 0001066540 -ის საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლაში. სკოლაში ვიზიტამდე საავტორიზაციო ჯგუფის თავჯდომარემ teams-ში და სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფები. შედგა რამდენიმე წინამოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა, განათლების ექსპერტებს შორის გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაგზავნილი იქნა სკოლაში. ვიზიტამდე ყველა ექსპერტი გაეცნო სკოლის დირექციის მიერ წინასწარ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას, მომდევნო შეხვედრაზე კი წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სკოლაში მიმდინერე სასწავლო პროცესის ობიექტურად შესაფასებლად. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოწოდება, რამაც ექსპერტებს სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასების საშუალება მისცა.

სასკოლო სივრცეში შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლაში პროცესების მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტი, სამართლებლივი აქტები, კურიკულუმები და სხვა. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და სკოლის მასწავლებლებთან კათედრების მიხედვით.

საგნობრივი ექსპერტები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის გარდა, დისტანციურად შეხვდნენ შესაბამის კათედრების მასწავლებლებს, შეხვედრისას განხილული იქნა საგნობრივი კურიკულუმები, პედაგოგებს მიეცათ რჩევები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასკოლო გარემო და განხილული იქნა უსაფრთხოების ნორმები .

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მზაობას გამოთქვამს გაითვალისწინოს ყველა რჩევა ავტორიზაციის სტანდარტების "შესაბამის ინდიკატორების დასაკმაყოფილებლად.

სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად ისახება სასკოლო ცხოვრებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ**

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

**VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები**

**I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა: 600** | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

| |
|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული |
| ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული |
| ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N...* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N...* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილბივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი NI* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *3.1.2.6.* | სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილება აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. | ➢ სასურველია, პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით, წახალისების ნებისიმიერი ფორმის გამოყენებისას გამოიცეს შესაბამისი ბრძანება. . |
| *3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | ➢ სკოლამ შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციები. |
| ***3.5.1.1.*** | სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; | . ➢ მიმართოს სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურს მოთხოვნით, ჩასწორდეს შენობა-ნაგებობის სქემა. |
| ***3.5.1.2.*** | დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; | ➢ მიმდინარე წლის ბოლომდე დაასრულოს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია. ასევე, მიმართოს რესურსცენტრს და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| | | მოითხოვოს გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი .<br>➢ ინვენტარიზაციისას ყველა წიგნს I- XVII გვერდზე დაესვას ბეჭედი და დაეწეროს სარეგისტრაციო ნომერი. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *რჩევა* |
| *4.1.1.3* | მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. | ➢ მშობლის ხელშეკრულების მე-9 მუხლი არეგულირებს შეთანხმებას მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა-გამოყენების შესახებ. ამიტომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე დამატებითი თანხმობა არ არის საჭირო. |
| *4.2.1.3* | მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; | ➢ სასურველია, გაიწეროს რემედიაციის მექნიზმები და შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტი. |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(დაწყებითი საფეხური)* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 2.1.1.1.*<br><br>*ინდიკატორი 2.1.2.1* | **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**<br><br>**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას** | ➢ *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.<br><br>➢ *რჩევა 1*<br>ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში ძირითადი საკითხების დაზუსტება კათედრამ განახორციელოს ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| | | მიხედვით საკითხის/საკითხთა კლასტერების გამოყოფის საფუძველზე.<br>*რჩევა 2*<br>დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად. |
| *ინდიკატორი 2.1.1.1.*<br><br>*ინდიკატორი 2.1.2.1* | **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**<br><br>**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას** | ➢ *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.<br><br>➢ *რჩევა 1*<br>ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში ძირითადი საკითხების დაზუსტება კათედრამ განახორციელოს ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მიხედვით საკითხის/საკითხთა კლასტერების გამოყოფის საფუძველზე.<br>*რჩევა 2*<br>დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად. |
| | **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას** | ➢ *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.<br><br>➢ *რჩევა 1*<br>ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში ძირითადი საკითხების დაზუსტება კათედრამ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| | **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | განახორციელოს ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მიხედვით საკითხის/საკითხთა კლასტერების გამოყოფის საფუძველზე.<br>*რჩევა 2*<br>დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად. |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ➢ *რჩევა* |
| *ინდიკატორი 2.1.1.1* | *„კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“* | *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.<br>➢ |
| ინდიკატორი 2.1.2.1 | **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“** | *რჩევა 1.*<br>*სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიეთითოს ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.*<br>*რჩევა 2.*<br>*საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულოა თემის დასახელება მოცემული იყოს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.*<br>*რჩევა 3.*<br>*საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა ცნება, გეოგრაფიაში ყველა თემაში აისახოს შესასწავლი საკითხები.*<br>➢ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.2.2.1. | ,,სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“ | *რჩევა 1.*<br>*ბიოლოგია, VII კლასი, თემა „მიკროორგანიზმები“ კურიკულუმში დაზუსტდეს საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით .*<br>➢ |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ➢ *რჩევა* |
| *ინდიკატორი 2.1.1.1* | *,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“* | *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.<br>➢ |
| | | ➢ |
| | | ➢ |
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 2.1.1.1* | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას | ➢ *რჩევა 1*<br>*მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.* |
| *ინდიკატორი 2.1.2.1* | ,,შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“ | ➢ *რჩევა 1*<br>*საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიეთითოს ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.2.4* | სპორტის შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით. | ➢ *რჩევა 2*<br>*სპორტის შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.* |
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | | ➢ *რჩევა 1*<br>*ფიზიკის X კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით .*<br>➢ *რჩევა 2*<br>*გეორაფიის XI კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მნიშვნელოვანია ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები, გასაუმჯობესებელია კონტექსტ მაგალითები (XI კლასი - გეოგრაფია ).* |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*ვინაიდან , სსიპ -ქალაქ თბილისის N213 სკოლას ავტორიზაციის პროცესში არ დაუდგინდა ხარვეზი , არ საჭიროებდა შესაბამისობის გეგმის წარმოდგენას . ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის პასუხად მიღებულ წერილში სკოლა ადასტირებს, რომ იზიარებს ექსპერტთა არგუმენტირებულ პიზიციას და ეთანხმება მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს.*

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)**

**1. სკოლის ფილოსოფია**
**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**
**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლას (შემდგომში ,,სკოლა“ ) შემუშავებული აქვს მისი და ხედვა.

**სკოლის მისიაა :** სახელმწიფოს სტრატეგიისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში გაერთიანების მიზნების შესაბამისად, განათლების ხარისხის ამაღლება და მუდმივი განახლება. სასკოლო საზოგადოებისა და თემის ჩართულობით მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლენა და დამოუკიდებელი, კრიტიკული, ლოგიკური აზროვნების განვითარება. თითოეული მოსწავლისათვის თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი განათლების მიცემა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, რათა ხელი შეუწყოს მომავალი საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის არჩევანის გაკეთებაში. ამასთანავე, ჩამოუყალიბოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია 2023-2024 წლის სასწავლო გეგმაში , შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში, და კანონის თანახმად , სასწავლო წლის დასწყისშივე წარდგენილი და შეთანხმებული იქნა სამეურვეო საბჭოსთან , ხოლო შემდგომ დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

აღსანიშნავია, რომ სკოლას მანამდე შემუშავებული ჰქონდა მისია, თუმცა, რადგან ორიენტირებულნი არიან მუდმივად განვითარებაზე, რეალობიდან გამომდინარე , საჭიროდ ჩათვალეს გადაეხედათ არსებული დოკუმენტის შინაარსისთვის და შეემუშავებინათ ახალი.

სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებიდან .მისიისა და ხედვის შესაბამისად სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სასკოლო საზოგადოების წინაშე.

**სსიპ ქ.თბილისის N213 საჯარო სკოლის მომავლის ხედვაა,** რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, ზრუნავდეს ყოველმხრივ განვითარებული, თავისუფალი, კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე.

მოსწავლეების აქტივობებისა და ინიციატივების მაქსიმალური ხელშეწყობით, შესაძლებლობების თვითრეალიზაციით, სპორტული აქტივობების ხელშეწყობით, მათთვის სტიმულის მიცემით, სკოლამ შექმნას სათანადო პირობები, რათა მოსწავლეებმა არ შეწყვიტონ განვითარებაზე ზრუნვა და შემეცნება. ასევე, მნიშვნელოვანია მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და მათ მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება. აღნიშნულის მიღწევის შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები შეძლებენ საკუთარი ცოდნისა და უნარების დახმარებით, დემოკრატიული ღირებულებებზე დაყრდნობით, აირჩიონ მათთვის სასურველი პროფესია, რათა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში.

**სკოლის ღირებულებებია:**

განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოება თანხმდება შემდეგ პრიორიტეტულ ღირებულებებზე:

- პროფესიონალიზმი
- ურთიერთანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა
- უწყვეტი განვითარება
- ემპათიის უნარი
- ტოლერანტობა
- შემოქმედებითობა
- პატრიოტიზმი
- ნებელობა
- ჯანსაღი ცხოვრების წესი
- მოქალაქეობა.

**ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების წინაშე. სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლაში არის თანამშრომლობაზე, კეთილგანწყობაზე, მზრუნველობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. სასკოლო საზოგადოების ფიზიკურ და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოებისათვის შექმნილია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები: ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, ,,შინაგანაწესი“, ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“, ,, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი“ და ,,სკოლის საგანგებო მართვის გეგმა“. სკოლა მოსწავლეებისთვის აწარმოებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლაში დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები, სადაც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულებისა და მოსწავლეების დისციპლინური გადაცდომის სახეებსა და პასუხისმგებლობის ზომებს. ასევე გათვალისწინებულია წახალისების მექანიზმები. დადგენილია ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. უსაფრთხოებას სკოლაში კი უზრუნველყოფეს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები. მათ შორის დარაჯები, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, მანდატურები, მრჩეველთა საბჭო, საგანგებო შტაბი, დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება, რომელიც შესათანხმებლად წარედგინება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ სკოლაში არსებულ სხვადასხვა სივრცეში, მათ შორის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, არაფორმარულ გარემოში გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, იზრუნონ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. სკოლაში არსებული სხვადასხვა სივრცე, კეთილმოწყობილი სასკოლო ეზო, სპორტული დარბაზი, იძლევა იმის შესაძლებლობას რომ სკოლაში განხორციელდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, პირველკლასელთა მიღება, ბოლო ზარი და სხვა. ამის დასტურია სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული არაერთი საინტერესო შემეცნებითი აქტივობა, კონკურსი, სპორტული ღონისიძიება და სხვა. არაფორმალურ განათლებაში მოსწავლეების აქტიური ჩართვა მნიშვნელოვანია მათი უნარების წარმოჩენის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების განხორციელებაში მრავალფეროვანი აქტივობები იქნება ერთ-ერთი ხელშემწყობი საშუალება. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაცია ასევე დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან მათთვის სასარგებლო და საჭირო ინფორმაციას. ამგვარი პოზიტიური ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს სხვადასხვა ღირებულებების მიმართ პატივისცემა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას ჰყავს ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ერთი სკოლის ექთანი. ასევე ჰყავთ მანდატურები, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე და საჭიროების შემთხვევაში ჩართულები არიან პროცესებში. სკოლას აქვს 16 სათვალთვალო კამერა(12 შიდა , 4 გარე პერიმეტრზე). სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. აღჭურვილია სახანძრო ცეცქლმაქრებით სკოლას იცავენ დარაჯები. არსებობს სრულად განახლებული და ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სსსმ მოსწავლეებისთვის გამოყოფილია რესურს ოთახი. მათთვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტები, აქტივობები სასკოლო საზოგადოების ინიციატივა და აქტიური ჩართულობით. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე. სკოლა თავისი მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო- კულტურულ სივრცეს, რაც დასტურდება ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, სტრატეგიული გეგმითა და სამოქმედო გეგმით, რომელშიც მითითებულია თუ როგორ გარემოში, როგორი მატერიალური და ადამიანური რესურსით შეძლებს მისიითა და ხედვით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას.

**ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

### 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუთი და სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით (კითხვარები) დასტურდება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სკოლას 2023 წელს შექმნილი აქვს ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობითა და საჯარო განხილვების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით მოახდენა მისიის, ხედვისა და ღირებულებების ერთიანი დოკუმენტის ფორმირება.
სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლას 2023 წლის 05 ივნისის სამეურვეო საბჭოს ოქმით(სამეურვეო საბჭოს ოქმი N7 , ასევე ბრძანება N 2-30, პედსაბჭოს N6 ოქმით ) დასტურდება, რომ სხდომაზე განხორციელდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) განხილვა და შეთანხმება. სამეურვეო საბჭოს ოქმის თანახმად სკოლამ მისიის ხედვისა და ღირებულებების შესამუშავებლად გაიარა ეტაპები, რომელიც განსაზღვრული ჰქონდა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, კერძოდ:

- დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი;
- სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება;
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისია, ხედვა და ღირებულებები;

**ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული აქვს სასკოლო საზოგადოების მიერ. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში დეკლარილებულია მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც განხილულია და დამტკიცებულია პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს მიერ.
სკოლას მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზეა გამოკრული და კლასის დამრიგებლებმა კი გაავრცელეს სოციალურ ქსელში, დახურულ ჯგუფებში, რის საფუძველზეც მშობლებს მიეწოდათ სრული ინფორმაცია სკოლის ფილოსოფიის შესახებ.ხოლო მოსწავლეებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს სადამრიგებლო საათის ფარგლებში.
სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც საჯაროდ არის განათავსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის მიერ .

**ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე, სურათების სახით აქვს გამოკრული.
სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც საჯაროდ არის განათავსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებულ პირთათვის.
**ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლის წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №171/ნ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ .
ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლა.
შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

**ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
2. მისიის, ხედვის, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
3. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების პასუხისმგებელი და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფის ბრძანება;
4. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
5. სამეურვეო საბჭოს ოქმი #8;
6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის N 171/ნ ბრძანება;
7. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
8. სკოლის შინაგანაწესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

9. ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
10. უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
11. ინტერვიუები ადმინისტრაციასთან;
12. ინტერვიუები მასწავლებლებლებთან;
13. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ N 2-65 05.06.2023), რომლის მიხედვით განსაზღვრულია: სკოლის მიერ ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის მექანიზმები; მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების ეტაპები; სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირების მექანიზმი; სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმი; გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი. წარმოდგენილი დოკუმენტით მნიშვნელოვანია, რომ სკოლას განსაზღვრული ჰქონდეს გეგმების შეფასების პრინციპებიც, დოკუმენტი ადგენს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები არიან :

- სკოლის დირექცია;
- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- სამეურვეო საბჭო;
- თემი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტით მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. თანამონაწილეობა;
2. სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება;
3. გამჭვირვალობა;
4. ანგარიშვალდებულება.

(SWOT ანალიზის შაფუძველზე, ადგენენ სკოლის როგორც ძლიერსა და სუსტ მხარეებს, შეგროვებული ინფორმაცია და ანალიზი, შემდგომში გადამუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმის/გეგმების განსაზღვრაში.

**ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი (2023-2030წ.წ.)სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სტრატეგიულ გეგმაში დეკლარილებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. სწავლა-სწავლების პროცესი ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებული, ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების უწყვეტ განათლებასა და განვითარებას.

**სკოლის მიზანია:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

• აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება.
• ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და პედაგოგიური პრაქტიკის შემდგომ დახვეწასა და გამდიდრებას.
• მოსწავლეთათვის შესაბამისი უნარების განვითარება, დამოუკიდებლად მოახერხოს საჭირო ინფორმაციის მოძიება, აღქმა, ანალიზი, დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება;
• მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება;
• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება;
• უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვანი გარემოს შექმნა და მუდმივი სრულყოფა;
• სასკოლო საზოგადოების გააქტიურება.

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

➢ სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
➢ ადამიანური რესურსის განვითარება;
➢ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
➢ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
➢ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
➢ მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
➢ ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

**ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023 წლის 15 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს N10 ოქმით დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

მოქმედი გეგმის მიხედვით გამოყოფილი აქვთ 7 პრიორიტეტული მიზანი:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნვა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება;

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია, როგორ და ვისი ჩართულობით და რა რესურსით შეიქმნება შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და მასზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აქტივობები განსაზღვრულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიმართულებისა და ამოცანების შესაბამისად. აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წელი);
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
4. ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“
5. ადმინისტრაციასთან ინტერვიუ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**შეფასება**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამებ
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ ბრძანება N2-65 ) , რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სკოლამ უნდა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ შესრულებული სამუშაოს დოკუმენტურად დადასტურების მიზნით სასწავლო წლის დასრულებისთანავე, შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში და დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლის საფუძველზე შეივსება ცხრილი თითოეული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის ორგანიზებით გამართულ გაერთიანებული შეხვედრაზე, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი - შეფასება.

გაანალიზდება შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სკოლას სამომავლოდ გააანალიზოს მის მიერ დაშვებული შეცდომები. წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს , შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების წინარე პერიოდში , მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

**2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტის (**მუხლი 10. შესრულების მონიტორინგი)** შესაბამისად, განსაზღვრავს სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების პროცესს , რომელსაც წარმართავს დირექტორის მოადგილე. მასში ჩართულები არიან: სამეურვეო და დისციპლინარული საბჭოების თავმჯდომარე, მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი და 3 მასწავლებელი. შედეგები განიხილება და თანხმდება სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე. სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შემდეგ ივსება განსახორციელებელი ცვლილებების ცხრილი, რომლის საფუძელზეც სკოლა შეიმუშავებს swot ანალიზს და დააფუძნებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას.

**ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლა ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტების შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი, გაზიარებული და გასაჯაროებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. რაც ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა. სამოქმედო გეგმა საჯაროდ საინფორმაციო დაფაზეა გამოკრული. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ ასევე - სასწავლო მხარესაც. ორივე მიმართულებით განხორციელებული აქტივობები სკოლის სამოქმედო გეგმის ნაწილია. გარდა ამისა, სკოლა ცდილობს, გეგმით განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა საჯარო გახადოს და ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. ასევე, სოციალური ქსელში სკოლის გვერდის საშუალებით ხდება ფართო საზოგადოებისათვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ინფორმაციის მიწოდება, რაშიც, სკოლის ფეისბუქგვერდის დამთვალიერებელი ნებისმიერი ადამიანი დარწმუნდება.

**ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

**4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლის დირექტორისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგადა დასტურდება, რომ 2022-2023 სასწავლო წლის შედეგები განხილულია და გაანალიზებულია, შედეგები ასახულია 2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ჩატარებულია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები სასკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოკვლეულია მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები, რაც გათვალისწინებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდაც ისკოლას აქვს მზაობა ანალოგიური პრაქტიკის დანერგვის.

**ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის' დოკუმენტი;
2. ადმინისტრაციასთან ინტერვიუ;
3. ინვენტარიზაციის მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლას გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები , რომლებიც ასევე გაწერილია დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა თანამდებობრივი ინსტრუქციები. დამტკიცებულია თავად სკოლის სტრუქტურა, რომელიც შედგება სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, მასწავლებლების, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალის, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტებისაგან. ასევე, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებისაგან: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, დისციპლინური კომიტეტი და დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, ისგ ჯგუფი, მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისიები, საინვენტარიზაციო კომისიები და სხვა.

თითოეულ სტრუქტურულ ერთეული და თანამდებობის პირი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებით, კანონმდებლობის შესაბამისად მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებისა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებების შესაბამისად. . სკოლის დირექტორი ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით და სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსით.

როგორც საგნის მასწავლებლებთან, ისე სპეციალურ მასწავლებელთან შესაბამისი სტატუსების გათვალისწინებით გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ისინი იცავენ როგორც ამ ხელშეკრულებით დადგენილ ნორმებს, ისე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ დებულებებს. დირექტორის ბრძანებით ზოგიერთ საგნის მასწავლებელს დაკისრებული აქვს დამრიგებლის ფუნქცია. დამრიგებლები თავის საქმიანობას ახორციელებენ ეროვნული სასწავლო გეგმისა და 2023-2024 სასწავლო წლისათვის დირექტორის მიერ დამტკიცებული დამრიგებლის დებულების შესაბამისად.

საშტატო განრიგირთ განსაზღვრულ ყველა პირი ვალდებულია შეასრულოს მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფუნქციები. გარდა დასაქმებულებისა სკოლაში ფუნქციონირებს კანონით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეთა თვითმმართველობა). ისინი საქმიანობას ახორცილებენ ზოგადი განათლების შესახებ კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მეირ დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდების' შესაბამისად'.

სამეურვეო საბჭო 2022 წელს არჩეულია 3 წლის ვადით და მასში თანაბარი რაოდენობით შედიან არჩეული 3 მასწავლებელი და 3 მშობელი (საფეხურიდან 1 მშობელი). სამეურვეოს შემადგენლობაშია აგრეთვე საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

პედაგოგიურ საბჭოს შემადგენლობაში არის სკოლის ყველა მასწავლებელი, მათ შორის ადმინისტრაციის წევრი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება როგორც საგნის მასწავლებელთან და სპეციალური მასწავლებელი.

სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც სამეურვო საბჭოს მიერ არჩეულია ერთი წლის ვადით და მასში თანაბარი რაოდენობით შედის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი (სულ 6 წევრი). დისციპლინურ კომიტეტი განიხილავს სკოლაში დისციპლინურ გადაცდომებს.

ასევე, სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, ერთი წლის ვადით არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც უფლება აქვს შემქნას კლუბები და წარმოადგინოს სხვადასხვა წინადადებები და ინიციატივები. შესაბამისი საფეხურების თვითმმართველობებს არჩეული ჰყავთ თავმჯდომარეები. თვითმმართველობას დამტკიცებული აქვს დებულება.

სკოლაში არსებულ 6 საგნობრივი კათედრაში გაერთიანებული არიან პედაგოგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. კათედრის თავმჯდომარე არჩეულია ერთი წლის ვადით. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და იღებენ უკუკავშირს. კათედრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სასკოლო სასწავლო გეგმითა და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული კათედრის დებულებით.

გარდა ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისა სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის წევრები ესწრებიან გაკვეთილებზე მასწავლებლებს წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ჯგუფი იკრიბება წელიწადში სამჯერ. მათი საქმიანობის მარეგულირებელია პროფესიული განვითარების სქემა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად და აფასებენ მათ .

საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 36 თანამშრომელი.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 მნე, 1 ბიბლიოთეკარი, 1 სპეც. მასწავლებელი, 2 ასისტენტი, 1 ექთანი, 2 დარაჯი და 3 დამლაგებელი.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ '' საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლის მიერ გადმოგზავნილია და ასვე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი", რომლითაც რეგულირდება სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება/შერჩევა და ადპტირება. დოკუმენტში მოცემულია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან" შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

**ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სსიპ ქ. თბილისის № 213 საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციაში განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების საკითხი. სკოლის პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებულნი არიან სკოლის დირექტორის წინაშე. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, დირექტორის უფლება-მოვალეობები - დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან. მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება.

**ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საშტატო განრიგი;
4. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი.
5. პერსონათან ხელშეკრუელებები;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ '' ბრძანება , ასევე სამეურვეო საბჭოს ოქმი #10 , რომლის მიხედვით,განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლა მისიის, გარე და შიდა ფაქტორების ანალიზისის და შეფასების შედეგად გამოყოფს გამოყოფს ორგანიზაციის მიზნებს, კონკრეტულ ამოცანებს და ინიციატივებს შეუმუშავებს და რესურსების მართვის სტრატეგიებს, შეფასებისა და ანალიზის პროცესში განახორციელებს კადრების მოზიდვას,შერჩევას, მათ სოციალიზაციას, შეფასებას, პროფესიულ მხარდაჭერას და სხვ. სკოლაში მოქმედებს დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ შრომითი უფლებების პირობებს ითვალისწინებს.

**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", ითვალისწინებს პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის მექანიზმებს.

სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სკოლის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. როგორც დირექტორმა აღნიშნა , ამ დოკუმენტის შექმნის მიზანი სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული

კადრების პროფესიული დონის ამაღლება იყო. მან ხაზ გაუსვა, რომ მნიშნელოვანია, როგორც არსებული კადრების შენარჩუნებაზე, ასევე მათი განვითარების ხელშეწყობასა და ახალი კადრების მოზიდვაზე ზრუნვა. სკოლაში მასწავლებლებში ჩატარდა გამოკითხვა, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოავლინოს საჭიროებები.

კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალის შერჩევის მექანიზმი სკოლაში დიფერენცირებულია. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩვა გამჭვირვალედ. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებები. შესაბამისად, სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

საგნის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო სხვა პერსონალის შერჩევა შესაძლებელია მოხდეს როგორც კონკურსის საფუძველზე, ისე დირექციასთან გასაუბრებით. დირექცია ადგენს კადრების საჭიროებებს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. ასევე მან აღნიშნა, რომ არაერთხელ გამოცხადდა კონკურსი ფიზიკის მასწავლებლის ვაკანსიაზე (ბრძანება N 2-110), თუმცა მსურველი არ გამოვლენილა. შესაბამისად, ფიზიკის გაკვეთილებს ატარებენ მათემატიკის მასწავლებლები. საშტატო განრიგით გათვალისწინებული იყო ექიმის შტატი, 2-ჯერ გამოცხადდა კონკურსი, თუმცა კადრი ვერ შეირჩა. შემდგომში სკოლამ მიმართა სამინისტროს და ითხოვეს საშტატო განრიგის შეცვლა. შეთანხმების შემდეგ დამტკიცდა ახალი საშტატო განრიგი, ჩატარდა კონკურსი ექთნის შტატზე და შეირჩა შესაბამისი კადრი(ბრძანება N 2-25 , საშტატო N2793-23-05-7463).

მნიშვნელოვანია, რომ თუკი გამოვლინდება ახალი კადრის დამატების აუცილებლობა, ცვლილება შედის საშტატო განრიგში.

სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგლაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ.

**ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.teacherjobs.ge-ზე, ასევე განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის გამოცხადების მინიმალური ვადაა 5 დღე. კონკურსით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ტარდება გასაუბრება. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისია ადგენს შესაბამის ოქმს და იგი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება სკოლის დირექტორს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრების მიზნით შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

შიდა და ღია კონკურსების ეტაპებია:

ა) საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ბ) გასაუბრება;

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევაც ასევე ხდება კონკურსის გზით ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმების“ შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი, ინფორმაცია განთავსდება დასაქმების ვებგვერდზე teacherjobs.ge-ზე, იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკონურსო პროგრამა და შეფასების კრიტერიუმები. იქმნება საკონკურსო კომისია ატარებს კონკურსანტებთან გასაუბრებას და შეირჩევა შესაბამისი კვალიფიციური კადრი.

კონკურსები ტარდება ობიექტურად, გამჭვირვალობისა და კოლეგიურობის პრინციპის გათვალისწინებით. სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით განისაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული ვაკანტური პოზიციისათვის.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა საკონკურსო კომისიის ოქმებიც, სადაც დეტალურადაა ასახული გამოცხადებული კონკურსის სამივე ეტაპის მიმდინარეობა, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით აპლიკანტთა შეფასება და გადაწყვეტილების მიღება.

სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 36 თანამშრომელი სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი, 16 უფროსი, 5 წამყვანი, 1 სპეციალური მასწავლებელი. ასევე სკოლაში არის 1 მაძიებელი. ყველა მასწავლებელი შერჩეულია კონკურსის საფუძველზე. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 ბიბლიოთეკარი,2 ასისტენტი, 1 ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი.

სკოლის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პირადი საქმეების, eschool ბაზისა და სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებების გადამოწმების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლას მასწავლებლები შერჩეული ჰყავს ,,ზოგადი განათლების შესახებ ‘’ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,,ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი“, რომლითაც რეგულირდგეა სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება/შერჩევა და ადპტირება. დოკუმენტში მოცემულია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ასევე ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განაცხადება;
ბ) CV,
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი.
ე) ცნობები ნარკოლოგიურიდან , ასევე, ნასამართლეობისა და სექსუალური ძალადობის შესახებ.

**ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. როგორც აღვნიშნეთ, ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას დასაქმებულ პირებთან (ტექპერსონალი, მასწავლებლები და ა.შ) დადებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები და ასევე გამოცემული აქვს ინდივიდუალურ -ადმინისტრაციულ სამართლებლივი აქტი-ბრძანება.

პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.

ასევე სკოლის მასწავლებლის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ, მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

**ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

**5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების ოქმებით. გასაუბრებისას დირექტორმე ხაზი გაუსვა, რომ პერსონალის მართვისას მნიშვნელოვანია გუნდურობა და კოლეგიალობა, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებლობა. სკოლაში დასაქმებული ადამიანები მაქსიმალურად არიან ჩართულები სასკოლო პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შორის ურთიერთპატივისცემა და კომუნიკაცია. ერთობლივი გუნდური და მონაწილეობითი მუშაობის ერთ-ერთი მაგალითია სასკოლო სასწავლო გეგმაზე მუშაობა, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დირექციის წარმომადგენლები და მასწავლებლები. სასწავლო წლის დაწყებამდე შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმას ითანხმებს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები ასევე გუნდურად შეიმუშავებენ ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. ასევე გუნდურობის მაგალითია სკოლაში შექმნილი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებისა და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიებისა და ჯგუფების მუშაობა. სკოლის ადმინისტრაცია არ ახდენს ზეგავლენას მათზე და მათ მიერ გადაწყვეტილებებზე თავად არიან პასუხისმგებლები.

სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან დადასტურდა, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც. პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე .

შესაბამისად, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

**6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლაში შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სკოლას აქვს წახალისების გამოყენების პრაქტიკა. მაგალითად მასწავლებელი შესაბამის საგრანტო კონკურსში გამარჯვებისათვის წახალისდა ფულადი პრემიით. პრემია ჩაერიცხა აგრეთვე სკოლის ბუღალტერს, დირექტორობის გამოცდების ჩატარების პროცესში შეტანილი წვლილისათვის.

ასევე სხვადასხვა საფუძვლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლეების წახალისება შემდეგი ფორმებით:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

სკოლამ მოსწავლეს სკოლის ლოგოს შექმნაში მონაწილეობისათვის გადასცა დიპლომი .

ინფორმაცია სკოლის წარმატებების, წარმატებული მოსწავლეებისა და თანამშრომლების შესახებ, მათი გამორჩეული აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინტერვიუირების დროს დირექტორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებასა აფორმებს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. ასევე დასაქმებულის მიმართ შესაძლოა ერთდროულად გამოიყენოს წახალისების რამდენიმე ფორმა. მას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

წერილობით მიმართავენ დასაქმებულის წახალისების თხოვნით, დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო.
სკოლის დირექტორთან ინტერვიუსა და სკოლაში საერთო ბრძანებების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ბრძანებით მხოლოდ ფულადი წახალისების ფაქტი დგინდბა. მაგრამ არცერთი ბრძანებით დასტირდება პერსონალის წახალისების სხვა ფორმები. მან აღნიშნა რომ სიტყვიერად უხდის მადლობას.

**რჩევა:**

- სასურველია, პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით, წახალისების ნებისიმიერი ფორმის გამოყენებისას გამოიცეს შესაბამისი ბრძანება.

**ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი;
2. შინაგანაწესი;
3. საერთო ბრძანებების ჟურნალი;
4. საკადრო ბრძანებების ჟურნალი;
5. კონკურსის წესი;
6. საკონკურსო კომისიის ოქმი;
7. პერსონალის პირადი საქმე;
8. შრომითი ხელშეკრულებები;
9. ბრძანებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**
სკოლის მიერწარმოდგენილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის დებულება, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, შეფასების ჯგუფის ზოგადი მოვალეობები პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მიმართულებით ინტერვიუს დროს გამოკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. შემუშავებული აქვთ მეანიზმები, რის მიხედვითაც დაინდება პედაგოგთა საჭიროებები და შემდგომი გეგმება, შესაბამისი სტრატეგიები პედაგოგთა კორპუსის გასაძლიერებლად
**ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**
სკოლაში საჭიროებების დადგენის ერთ-ერთი მექანიზმია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია მასწავლებლის პროფესიული სტადარტის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციის შესაბამისობის უზრუნველყოფა, ასევე, სკოლის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა. მასწავლებლის შიდა შეფასება,სკოლაში პროფესიული დიალოგის გაძლიერებისა და თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა. დირექტორის მოადგილე ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე; ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას. იგეგმება მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობით, კათედრების ურთიერთდასწრებით, პროფესიული მხარდაჭერის

ჯგუფის მიერ განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ანალიზის საფუძველზე მიმდინარე სასწავლო წელს პედაგოგთა კონკრეტული საჭიროებების გამოვლენა და პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის განხორციელება. იყო შემთხვევები, რომ ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას მასწავლებლებს ჰქონდა რიგი პრობლემები. სკოლის დირექციის ხელშეწყობით მათ უტარდებოდათ სამუშაო შეხვედრები, სადაც დამატებით უწევდნენ კონსულტაციებს გამოცდილი თანამშრომლები. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვისას ერთმანეთს უზიარებენ გამოსდილებას, სხვადასხვა სტრატეგიებს.ასევე ტრენინგების გავლის შემდეგ კათედრაზე უზიარებენ სიახლეებს.

**ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. ამისთვის, ერთი მხრივ, იკვლევს მათ საჭიროებებს („ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი“), მეორე მხრივ, აკეთებს მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა სკოლის კათედრის ოქმები, სადაც კათედრების მიხედვით მოსწავლეთა მიღწეული შედეგებია განხილული და გაანალიზებული.

სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დასწრების შემდგომ აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. ასევე, კათედრების მიერ გამოცდილების გაზიარების მიზნით ხორციელდება ურთიერთდასწრება.

სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება 2-48) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილია თვითშეფასების სისტემის დანერგვა. ხარისხის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი აქტივობების განსახორციელებლად სკოლა მაქსიმალურად დაუჭერს მხარს პერიოდული ტრენინგების შეთავაზებით როგორც სკოლის შიგნით, ასევე გარედან მიღებული სერვისებით. წლის განმავლობაში 4 მასწავლებელმა გაიარა etwining-ს ორი კურსი, ასევე ტრენინგი გარემოს დაცვისა და ბულინგის თაობაზე . პედაგოგებმა გაიარეს არაერთი საგნობრივი ტრენინგი. ყურადღება მიექცა ასევე მაძიებელ მასწავლებელ, რომელმაც ასევე გაიარა არაერთი ტრენინგი.

**ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლა ზრუნავს თანამშრომლის ინტეგრაციაზე ახალ სამუშაო გარემოსთან. შემუშავებული აქვთ ახალი კადრის ინტეგრაციისათვის საჭირო მარეგულირებელი მექანიზმები,რომელიც ჩაშენებულია ადამიანური რესურსების მართვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

პოლიტიკის დოკუმენტში(მუხლი 9). დირექტორმა ადგილზე ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის მოადგილე მეგზურობას უწევს ახალ თანამშრომელს: აცნობს დასაქმებულს სკოლის ისტორიას, ტრადიციებს, სასკოლო დოკუმენტაციას, სკოლის მარეგულიერებელ დოკუმენტებს, სასკოლო შეფასებას, ეხმარება მას კლასთან და სასკოლო საზოგადოებასთან ინტეგრაციაში. ახალი მასწავლებლის მიღების შემთხვევაში მისი წარდგენა ხდება საგნობრივ კათედრაზე. ასევე სამასწავლებლოში ეცნობა სხვა მასწავლებლებს. მას შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ყველა საჭირო რესურსით. იგი ეცნობა სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, სასკოლო გარემოს, სკოლისა და თემის თავისებურებებს. სხვა თანამშრომლის შემთხვევაში მას წარადგენენ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. ჰყავთ მასწავლებლობის მაძიებელი, რომელსაც განესაზღვრა ტუტორი. მან ხელი შეუწყო სხვადასხვა აქტივობების წარმატებით განხორციელებას. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, კერძოდ, ასისტენტები უშუალოდ თანამშრომლობენ როგორც სპეციალურ მასწავლებელთან, ისე საგნის მასწავლებლებთან. მათ სკოლაში დასაქმებისთანავე შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა სწრაფად ადაპტირდნენ და უმოკლეს ვადაში შეძლონ მათზე დაკისრებული საქმიანობის განხორციელება. ახალ თანამშრომელს ის ასევე აცნობს სკოლის სამასწავლებლოს, სასკოლო კათედრებისთვის გამოყოფილი ოთახებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიას.

შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

**ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით არაერთ მნიშვნელოვან ინიციატივას ნერგავს. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა კათედრების სამოქმედო გეგმები, სადაც მოცემული იყო კათედრის წევრების ინიციატივები პროექტების სახით. ინტერვიუირების დროს დაასახელეს არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან დიდ მხარდაჭერაზე მიუთითებს. შესაბამისად, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადამიანური რესურსის მართვის დოკუმენტი
2. მასწავლებლის პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება
3. 2023-2024 სასწ.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. კათედრის სამოქმედო გეგმა
5. კათედრის ოქმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის მართვის ძირითადი დოკუმენტი არის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც თანხვედრაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულებას ემსახურება სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა და სხვ. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა დოკუმენტაციით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ეფუძნება პროცედურულ მიდგომებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მიმართულების ხარისხობრივი მაჩვენებელი. სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. ვიზიტის დროს სკოლამ დაგვახვედრა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, პროცედურები და მექანიზმები.

დოკუმენტის შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის დადგენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;
- სწავლების მეთოდების შერჩევა;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;
- საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;
- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

**ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში, აგრეთვე თანამდებობრივ ინსტრუქციებში. ინსტრუქციები განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის მიერ სავალდებულო შესასრულებელ ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს. საგანმანათლებლო პროცესები აღწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებშიც. დირექცია, ასევე კოლეგიური ორგანოები პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები ახორციელებენ მმართველობით ფუნქციას. ისინი სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმებით ან დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს. კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დამრიგებლები, მასწავლებლები უზრუნველყოფენ სკოლაში კურიკულუმების შემუშავებას, ასევე პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. ტექნიკური პერსონალი კი ზრუნავს სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე.

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). შინაგანაწესი ასევე ეხება მმართველობით პროცესებს,კერძოდ:მოწესრიგებულია საკადრო საკითხები: შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხიმგებლობა, მასწავლების/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

საფუძვლები.ამრიგად, სკოლის საქმიანობის მმართველობით პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი 3.3.1.2დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომლების და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები და საჩივრის მიმართვის პროცედურა. ამასთან, სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომლითაც უზრუნველყოფილია თანამშრომლების, მოსწავლეების მშობლებისა ან კანონიერი წამომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა ან საჩივრების განხილვის ხელმისაწვდომობა.

სკოლის მიერ დამტკიცებულია გასაჩივრების მექანიზმები. სკოლაში გასაჩივრების ნორმა გათვალისწინებულია დირექტორის მიერ გამოცემულ ყველა ბრძანებაში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. შესაძლებელია სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ასევე მასწავლებლის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებების გასაჩივრება.

საჩივრის განმხილველი ორგანოა სამეურვეო საბჭო. დისციპლინური სახდელების დაკისრების თაობაზე სკოლის დირექტორის ბრძანებაში მითითებულია სამეურვეო საბჭოში გასაჩივრების ორკვირიანი ვადა. კანონმდებლობის შესაბამისად სამეურვეო საბჭოს მიერ საჩივრის განხილვა ხდება ერთი თვის ვადაში, თუმცა შესაძლებელია კანონით განსაზღვრული იყოს სხვა ვადა. საჩივრების განხილვის მიზნით სკოლაში შესაძლებელია შეიქმნას ასევე სააპელაციო კომიტეტი, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში სააპელაციო კომიტეტი არ ჰყავს. დირექტორის ბრძანებაში გასაჩივრების ადგილად მითითებულია სასამართლო. გარდა გასაჩივრების ვადისა ბრძანებაში მითითებულია გასაჩივრების ადგილი. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში საჩივრების განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. დისციპლინური კომიტეტის ოქმებშიც ასევე მითითებულია გასაჩივრების წესი. საპრეტენზიო კომისიაში საკონკურსო კომისიის შედეგების გასაჩივრების უფლება აქვს ასევე კონკურსანტს.

აღნიშნულის გათვალისწინებით,

**ინდიკატორი3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლაში დაცულია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონმდებლობით დადგენილი უფლებები. ისინი არიან თანაბარ პირობებში და სასკოლო დროს ან/და სკოლის ტერიტორიაზე დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობენ სკოლის ყველა რესურსით. შინაგანაწესში განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. თანამშრომლები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ შინაგანაწესის გაცნობას. მასწავლებლების დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს დისციპლინური კომიტეტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მასწავლებლების გარდა სხვა დასაქმებულების დისციპლინური გადაცდომებს იხილავს როგორც დისციპლინური კომიტეტი, ისე სკოლის დირექტორი. მრჩეველთა საბჭო, რომელიც იხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს. სკოლაში განსაზღვრულია აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი.

როგორც სკოლის დირექტორმა იტერვიურებისას აღნიშნა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახდენენ საქმის მწარმოებელი, (ჩარიცხვა-ამორიცხვა, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული საკითხები), სკოლის დირექცია, ასევე კლასის დამრიგებლები საინფორმაციო შეხვედრებზე მშობლებს აცნობენ მოსწავლეთა უფლებებს და წესებს. მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც ასახულია მშობლის უფლებები მოქმედებს. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთოხების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;შინაგანაწესი
2. დისციპლინური კომიტეტის ოქმი
3. საერთო ბრძანებების ჟურნალ,,მოსწავლის პერსონალის, მშბლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“.
4. მოსწავლის ახსნა-განმარტება;
5. ხელშეკრულებები;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. . სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

საგანმანათლებო საქმიანობის წარმართვის მიზნით სკოლამ დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის მიზანია ხელი შეუწყოს პროცესის როგორც დაგეგმვას, ისე მის განხორციელებასა და შეფასებას. წარმატებული საგანმანათლებლო გარემოს და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად ხდება ორი ტიპის შეფასება:
შიდა ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს ოთხ ეტაპს:
**დაგეგმე-** ერთწლიან სამოქმედო გეგმაზე დაფუძნებული შესასრულებელი სამუშაო, განხორციელების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები;
**განახორციელე-** დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;
**შეამოწმე-** ანალიზისათვის სხვადასხვა აქტივობების შემოწმება. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს სკოლაში მიმდინარე პროცესების სკოლის ფილოსოფიასთან შესაბამისობის დადგენა, შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზი, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურიკულუმის შემოწმება, მატერიალური ბაზისა და სასწავლო რესურსების შემოწმება, ადამიანური რესურსების შემოწმება, მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების ანალიზი, სკოლის კურსდამთავრებულთა შედეგების ანალიზი და ა.შ. პროცესი დაიწყება მომავალი სასწავლო წლიდან.
**განავითარე-** ნაკლოვანების მიზეზების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება.
გარე ხარისხის კონტროლის- სისტემა მოიცავს როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგს, ასევე, ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას.
**ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესში, მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა მეთოდებით. სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული მშობელთა კრებები, სადაც კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სახელმძღვანელოების ნუსხას, დამრიგებლის ფუნქციებს და სხვა. სასწავლო წლის განმავლობაში მშობლებს შესაძლებლობა აქვთ , შეხვდნენ საგნის მასწავლებლებს. ასევე, მიიღონ ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. მართვის პროცესების ცალკეული მარეგულირებელი საკითხები ასახულია აგრეთვე შინაგანაწესში, რომელიც საჯაროა და განთავსებულია სასკოლო სივრცეში. ვებგვერდზე.
ზოგადად, მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, მუდმივად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან. იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში, გასვლით შეხვედრებში, ექსკურსიებში. სამომავლოდ დაგეგმილია მშობელთა ჩართულობის გასაძლიერებლად და დემოკრატიის ხალისხის გასაზრდელად მოეწყოს მშობელთა დღეები სკოლაში , სადაც მშობლები ჩაუტარებენ მოსწავლეებს შეხვედრებს თავისი პროფესიების სფეციფიკიდან გამომდინარე. მათი აზრით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს საკოლო და არაფორმალურ გარემოში ბავშვის აკადემიურ მოსწრებას და ქცევის პოზიტიურად ჩამოყალიბებას.

უკუკავშირის მისაღებად კი სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ ჩაატაროს გამოკითხვა და კვლევა და ანალიზის საფუძველზე დაგეგმოს ცვლილეები.

**ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.**

ძირითადი დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების ამსახველი თიმსის პლატფორმისა და სოციალური შიდა ქსელის ფოტომასალა
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომლის მიზანია როგორც ემოციური, ფსიქოლოგიური, ისე - ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დოკუმენტში აღწერილია რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, განსაზღვრულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და სხვ. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში დასაქმებული ერთი ექიმი კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და რესურს ოთახი. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლაში მალე ამოქმედდება მანდატურის სამსახური, რომელთან აქტიური თანამშრომლობთ მინიმუმამდეა დაიყვანება მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების ფაქტები.

სკოლაში დამონტაჟებულია 16 ვიდეოსათვალთვალო კამერა. მათ შორის გარე პერიმეტრზე 4 , ხოლო შიდა პერიმეტრზე 12 კამერა. ამასთან. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. ასევე სკოლას ჰყავს 2 მანდატური, კონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დარაჯები აკონტროლებენ სკოლაში ვიზიტორების შემოსვლა. სკოლის შინაგანაწესით გარეშე პირთა შემოსვლა სკოლაში დაუშვებელია სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლების ვიზიტი და დრო. გარეშე პირთა ვიზიტი აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. დარაჯებისა და მანდატურების მიერ მკაცრად კონტროლდება მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის უნებართვოდ დატოვება. ობიექტური მიზეზით საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე სკოლის დატოვება ხდება დირექციის ნებართვით, სპეციალური ფორმის საფუძველზე. მოსწავლის გათავისუფლებამდე ინფორმაცია მიეწოდება მშობელს და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ ტოვებს მოსწავლე სკოლას. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი უკავშირდება მშობელს და ადგენს გაცდენის მიზეზს. სკოლაში დადგენილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ისინი გადაადგილდებიან სკოლის ტერიტორიაზე და აკონტროლებენ წესრიგს. დაწყებითი კლასების მოსწავლეები სკოლას ტოვებენ მშობლების თანდასწრებით. გაკვეთილების დასრულების შემდეგ, კლასის დამრიგებლები უშუალოდ გადასცემენ მშობლებს ბავშვებს ან წარმოდგენილია ზოგიერთი მშობლის წერილობითი განცხადება, სადაც აღნიშნულია თანხმობა, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად დატოვოს სკოლის ტერიტორია.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საგანგებო შტაბი. შემუშავდა და შესათანხმებლად საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაიგზავნა საგანგებო მართვის გეგმა. თანხმობის საფუძველზე დირექტორის მიერ დამტკიცდა საგანგებო მართვის გეგმა. ასევე, სკოლამ წარმოადგინა საახანძრო უსაფრთსოებისა და უზრუნველყოფის მიზნით მიწერილობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები, და ევაკუაციის გეგმა. ფუნქციონერებს საევაკუაციო გასასვლელები. სკოლის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ ინფრასტრუქტურის სააგენტოში წარადგინა, 112-ის მიწერილობა და სკოლის სახანძრო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ინვოისები. ასევე, სკოლას აქვს სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. ექთნის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი" და ჰყავს კვალიფიციური ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად.

სკოლას ჰქონდა შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა , დამტკიცებული „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს:

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები:

• სკოლის ქონების დაცვა;

• საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

• მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთოკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

• საგანგებო სიტუაცების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

• სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

სკოლას ასევე შექმნილი აქვს ,,სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება", რომლითაც განსაზღვრულია:

- მორიგე მასწავლებლის ფუნქცია და მოვალეობები;
- მასწავლებელი ვალდებულება;
- სამედიცინო სამსახურის -ექთანის ვალდებულება;
- უსაფრთხოების ზომები სპორტული და სხვა კლასგარეშე ღონისძიების ორგანიზებისას;
- უსაფრთხოების ზომები ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ კლასგარეშე ღონისძიებების ორგანიზებისას, რომელშიც მონაწილეობენ პედაგოგები;
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია;
- დამლაგებლის მოვალეობები;
- საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სამსახურეობრივ და სანიტარულ ოთახებში უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია;

ბრძნებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

**რჩევა: სკოლამ შეასრულოს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**…ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილებულია……**

**……**

**2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ ქ. თბილისის 213 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით.'' სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებენ სკოლის მანდატურები. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები ახდენენ იმ ნივთების ამოღებას, რომელთა შემოტანა სკოლაში სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად აკრძალულია.

წესრიგის დაცვას ასევე ხელს უწყობენ მორიგე მასწავლებლები, რომლებიც დასვენებების განმავლობაში, სართულებზე აკონტროლებენ სკოლაში წესრიგს. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშემწყობია აგრეთვე სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ .მანდატურები ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში ასახავენ ინფორმაციას მოსწავლეების მიერ ჩადენილი დარღვევის თაობაზე, რაზედაც სკოლა ახორციელებს შესაბამის რეაგირებას. პრევენციის მიზნით, პერიოდულად სკოლის მანდატურები აწყობენ შეხვედრებს მოსწავლეებთან და საუბრობენ მათთან სხვადასხვა საკითხებზე. ასევე, სკოლის დირექციის ინიციატივით და კლასის დამრიგებლების და მშობლების ჩართულობით იმართება შეხვედრები, რათა გამოიკვეთოს შესაძლო პრობლემები და საჭიროებები.სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს , იღებს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირებისთვის წარუდგენს სკოლის დირექტორს.

მკაცრად კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დარაჯის მიერ. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება.

**ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლა ცდილობს, სექმნას ემოციურად უსაფთხო გარემო.„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები. სკოლას შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, მანდატურის სამსახურის და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომერი. ამასთან, სკოლის თანამშრომლები ინფორმირებული არიან ძალადობის იდენტიფიცირებაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ინფორმაციას მიაწვდიან რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სადამრიგებლო საათის ფარგლებშიც დამრიგებელი მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება .

**ინდიკატორი 3.4.1.3.დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. სკოლის ექთანი კი ზედამხედველობს სკოლის დამლაგებლებს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. აწვდის ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ. ექთანი ზედამხედველობს აგრეთვე სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე ზედამხედველობს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. იგი აღწერს სკოლაში არსებული სამეურნეო საქონლის მარაგებს და ადგენს შევსების საჭიროებას. აღნიშნული პირი დამლაგებლებზე გასცემს საჭირო ინვენტარსა და ქიმიურ საშუალებებს. სანიტარული ნორმების დასაცავად სკოლა პერიოდულად ატარებს სადეზინფექციო სამუშაოებს.

სკოლის სანიტარული კვანძები არის გამიჯნული, სულ არის 23 სანიტარული კვანძი ცალკე გოგოების-12 ცალკე ბიჭების -8. სკოლის პერსონალისათვის არის დამოუკიდებელი სანიტარული კვანძი ცალკე შესასვლელით -2. 1 ადაპტირებული. ისინი უზრუნველყოფილია წყლით და როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. სველი წერტილები აღჭურვილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლის აქვს შემუშავებული გეგმარებასა და ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი, რომლებიც გამოკრულია სან კვანძებში და ხდება გრაფიკის შესაბამისად მათი დასუფთავება.

**ინდიკატორი 3.4.1.4.შესაბამისობაშია.**

**5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N213საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცებული დოკუმენტაცია. რომლის თანახმად განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების, დაცვის წესები და პირობები. სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება ,,პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი-საქმისმწარმოებელი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით - პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, დადგენილი ნორმებით. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი.

სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. მესამე პირების მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას.

სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით.

სკოლას აქვს პერსონალური დაცვის მექანიზმები. წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტიც. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა.

**ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.**

**…6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვა და აღნიშნული საკითხი რეგულირებულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ'' ბრძანებით(ბრძანება# 2-72). მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე სკოლაში უფლებამოსილი პირია სკოლის საქმისწარმოებელი, რომელსაც უწევს პერსონალური მონაცემების დამუშვება. დირქტორის განმარტებით, სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, ასევე განსაზღვრულია მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და მკაცრად აკონტროლებს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს და წარადგენს შესაბამის ანგარიშს.

კომპიუტერებ ში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამა, პროგრამები არის ლიცენზირებული და ხორციელდება პერიოდული განახლება.

**ინდიკატორი 3.4. 1.6.დაკმაყოფილებულია ……**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**…7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქციაა დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემა. მრჩეველთა საბჭოს სხდომებიიმართება სემესტრში მინიმუმ ორჯერ და მათზე იხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. მუშავდება რეკომენდაციები, იგეგმება პრევენციული ღონისძიებები . საგანგებო შტაბის წევრები ფუნქციონალური მოვალეობების მიხედვით აფასებენ მიმდინარე პროცესებს და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნებით ცვლილებებს ახორციელებენ.
ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ საგანგებო შტაბის წევრები იცნობენ თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს.

**ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.**

**……**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. . უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა
2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
3. სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

. სკოლა განთავსებულია 4061 კვ.მ შენობაში, 13834 კვ. მ მიწის ფართობზე. სკოლას ფართი გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან, სარგებლობის უფლებით. სკოლის შენობა არის 3 სართულიანი. სკოლაში არის 17 საკლასო ოთახი, დირექციისათვის განკუთვნილი ოთახები, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ექიმის კაბინეტი, კვების ბლოკი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი, ეზოში განთავსებულია საქვაბე.

სკოლის შენობის ნაწილი , ერთი ფლიგელი, ახალი გარემონტებულია . დარჩენილი ნაწილის გარემონტება იგეგმება მიმდინარე სასწავლო წელს. გასარემობტებელ ფლიგელში მდებარე ოთახების ნაწილი გამოიყენება სათავსოებად, ყველა ოთახი ჩაკეტილია უსაფრთხოების მიზნით.

შენობა-ნაგებობის დათვალიერებისა და სქემის წრმოდგენისას გაირკვა, რომ პირველსართულზე ოთახების განლაგება არ ემთხვევა სქემაზე ასახულ ნახაზს. როგორც დირექტორმა აღნიშნა, ცვლილებები სამშენებლო კომპანიის მიერ იქნა გადაწყვეტილი.

საკლასო ოთახები სრულადაა აღჭურვილი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, დაფით, კარადები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორები. კომპიუტერული ტექნიკა ასევე განთავსებულია დირექციაში, სამასწავლებლოში, ექთნის კაბინეტში, ბიბლიოთეკაში.

სკოლას საკმაოდ კარგი მატერიელურ-ტექნიკური ბაზა აქვს. ასევე , კარგად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორატორიებიც.

ქიმიის ლაბორატორიაში არის სხვადასხვა ქიმიური ჭურჭელი, ქიმიური რეაქტივები, მულაჟები და თვალსაჩინოებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ფიზიკის კაბინეტი აღჭურვილია სხვადასხვა ხელსაწყოებითა და თვალსაჩინოებებით.

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიის კაბინეტში შენარჩუნებული აქვს სხვადასხვა მწერების, ხერხემლიანების (ქვეწარმავლების,რეპტილიების, თევზების..) ექსპონატები.

ლაბორატორიებში გამოკრული იყო უსაფრთხოებისა და სარგებლობის წესები.

ასევე ტექნიკურად აღჭურვილია სამოქალაქო განათლების კაბინეტი ,რომელიც ასევე დღის მეორე ნახევარში კლუბ ,,მაქსიმუმის" სამუსაო სივრცეა.

ბიბლიოთეკას აქვს 2000-მდე ერთ. წიგნადი ფონდი. წიგნსაცავი (სტელაჟები), ისე სამკითხველო სივრცე. გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.როგორც ბიბლიოთეკართან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, წიგნების ზუსტი რაოდენობა არ არის დათვლილი, რადგან ხუთი წლის წინ ატარდა ბოლო ინვენტარიზაცია და წელს უწევს კანონის მიხედვით. ამ დროისათვის აღწერილი ჰქონა მხოლოდ ჩამოსაწერად გამზადებუილ წიგნაბი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ ჰქონდათ კატალოგი (დაწყებული ფქონდა ელექტრონული კატალოგის შექმნა), კარტოთეკა, ყველა წიგნს არ ჰქონდა 1-ელსა და მე-17 გვერდზე ბეჭედი, ასევე არ იყო გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, მკითხველის ფორმულარები. ბიბლიოთწკიდან წიგნის გატანის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ჩანაწერს აკეთდებს, საკანცელარიო წიგნში.

კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ახალი კომპიუტერებითა და ეკრანით. იქვე გამოკრული იყო ლაბორატორიით სარგებლობის გაფიკი.

სპორტულ დარბაზში განთავსებულია სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, კალათბურთის ფარი. ფრენბურთის ბადე და შვედური კედელი. სპორტული დარბაზი მდებარეობს შენობის გასატემონტებელ ნაწილში, გასახდელები დროებით გადატაბილია დარბაზში სპორტუი ინვენტარისთვის განკუთვნილ ოთახში.

სკოლის ღია სპორტულ მოედანი არის კეთილმოწყობილი ხელოვნურსაფარიანი, კალათბურთისა და ფეხბურთის ინვენტარით.

სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად აქვს სულ 28 კომპიუტერი, 4 პროექტორი, 4 პრინტერი, 3 ეკრანი, სკოლაში არის ელექტროპიანინო.

ექიმის კაბინეტი სრულადაა აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით (საკაცე, ტახტი, კარადები, სასწორი, სველი წერტილი) და მედიკამენტებით. სკოლას მუდმივად აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი.

სკოლაში დასაქმებული პერსონალი პერიოდულად წარმოადგენს წერილობით მიმართვას მნეს სხვადასხვა საჭიროებების შეძენის თაობაზე, რომელთა საფუძველზე მნე მიმართავს სკოლის დირექციას და ხდება ინვენტარის შეძენა ან განახლება. აგრეთვე, საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება შემდგომი წლის ბიუჯეტი.

სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნერების სამინისტროსა და ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე, წინასწარ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით იჯარით გაცემული აქვს მის სარგებლობაში არსებული ფართი, სააქტო დარბაზი.

სკოლას აქვს დიდი სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, ლაბორატორიები და კაბინეტები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება ინვენტარიზაცია შემდეგი ინტენსივობით:

- უძრავი ქონების - სამ წელიწადში ერთხელ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- ძირითადი აქტივების, ფასეულობების - ყოველწლიურად;
- მზა პროდუქციის,პროინტ სტრატეგიული მარაგების, დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურების, სხვა დანაჩენი მატერიალური მარაგების - წელიწადში ერთხელ;
- ფულადი ანგარიშების და ფულადი დოკუმენტების კვარტალში ერთხელ;
- საბიბლიოთეკო ფონდის ხუთ წელიწადში ერთხელ; ბიბლიოთეკარმა ისაუბრა წიგნების ჩამოწერის სირთულეზე.

სკოლას ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შესახებ ბრძანება აქვს გამოცემული, რომლის საფუძვლად გეგმიური შემოწმებაა მითითებული.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 284 მოსწავლე. დირექტორთან გასაუბრებით, ვიზუალური დათვალიერებითა და სკოლის დოკუმენტაციით გამოვლინდა, რომ სკოლას ამ ეტაპზე მზაობა აქვს უზრუნველყოს 300 მოსწავლის მომსახურება სკოლაში. შენობის სრული რეაბილიტაციის შემდეგ სკოლას საშუალება ექნება მოემსახუროს 600 მოსწავლეს.

**რჩევა,**

- მიმდინარე წლის ბოლომდე დაასრულოს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია.
- ასევე, მიმართოს რესურსცენტრს და მოითხოვოს გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი . ინვენტარიზაციისას ყველა წიგნს I- XVII გვერდზე დაესვას ბეჭედი და დაეწეროს სარეგისტრაციო ნომერი .
- მიმართოს სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურს მოთხოვნით, ჩასწორდეს შენობა-ნაგებობის სქემა.

**ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სივრცე.

სკოლას აქვს:

- სპორტული დარბაზი;
- სპორტული მოედანი;
- სააქტო დარბაზი, სადაც იმართება მოსწავლეთა შემოქმედებითი საღამოები და შეხვედრები;
- სარეკრეაციო ზონები არაფორმალური განათლების კუთხით სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად;
- რესურსოთახი;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ სასკოლო გარემოში არსებული რესურსებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება.
სკოლაში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებების მომზადების და განხორციელების პროცესში ისინი სარგებლობენ როგორც ინფრასტრუქტურით, ისე სხვადასხვა ინვენტარით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ სპორტული ან სხვა სახის ღონისძიება და შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული სპორტული ინვენტარი. ხოლო სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ მუდმივად გამოიყენონ კომპიუტერები, პრინტერები და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები. ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად. გარე სტადიონს მოსწავლეები იყენებენ არასასწავლო პერიოდში და დაკავებულები არიან სპორტით.

**ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში არის სრულად ადაპტირებული. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სასწავლო პროცესში ინკლუზიურ გარემოს. მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური სასკოლო მერხები. სკოლას აქვს მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, სანიტარიული ნორმების დაცვით დასუფთავებული სველი წერტილები (არის შეზღუდული გადაადგილების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები). სკოლის ყველა სართულზე არის ადაპტირებული ტუალეტი. სკოლაში გადაადგილების სივრცეები მოწყობილია მოსწავლეთა საჭიროების მიხედვით.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. რესურსოთახი გამდიდრებულია სსსმ მოსწალვეთათვის საჭირო ინვენტარით: ქსეროქსი, პრინტერითა და ლამინირების აპარატით. სკოლაში ამ ეტაპზე სწავლოს 7 სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც საგნების მიხედვით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. საგანმანათლებლო პროცესი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისათვის. სკოლას ამ ამჟამად არ ჰყავს ფიზიკური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე არცერთი მოსწავლე.

**ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში არსებული სოციო-კულტურული სივრცე მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ და განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას ტრადიციად აქვს ჩაატაროს პირველკლასელთა მიღებისა და მე-12 კლასელებისათვის ბოლო ზარის საზეიმო ღონისძიება. აღნიშნული ღონისძიებები ტარდება სკოლის ეზოში. მოსწავლეები აწყობენ ინტელექტუალურ და სპორტულ შეჯიბრებებს, აწყობენ შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. სკოლას გააჩნია ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი და მატერიალური რესურსი. სკოლის ფოიეში იმართება მოსწავლეების გამოფენები და საქველმოქმედო ღონისძიება.

სკოლის ეზოში, შესასვლელშივე, არის შინმოუსვლელთა ობელისკი, რომელიც ამჟამად რეაბილიტაციის პროცესშია. სასკოლო საზოგადოება და თემი სრულად ჩაერთო ამ პროცესში. სკოლის დირექტორმა მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს თხოვნით, რათა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

განეხორციელებინათ რეაბილიტაცია. მათი თანხმობის შემდეგ დაიწყო ობელისკის რეაბილიტაცია. ვიზიტის დროსაც მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურის (რესურს ოთახი, სააქტო დარბაზი და სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი) გამოყენების შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა აქვს ყველა მასწავლებელსა თუ მოსწავლეს სოციო-კულტურული აქტივობების განსახორციელებლად.

**ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას სასწავლო პროცესის ხარისხიანად განსახორციელებლად სკოლას მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, შეირჩევა სასურველ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. კათედრები საკუთარი საჭიროებების გათვალისწინებით ირჩევენ ასევე დამატებით საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსს. მოსწავლეებს სასწავლო წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცემათ სასკოლო სახელმძღვანელოები. ასევე პირველი კლასის მოსწავლეებს გადაეცემათ პორტაბელური კომპიუტერები. სასწავლო პროცესის მიზნებისათვის კომპიუტერები გადაეცემათ ასევე დაწყებითი კლასის მასწავლებლებს. ასევე ყველა საკლასო ოთახში არის მაგნიტურიან/და ცარცის დაფები, სხვადასხვა თალსაჩინოებები, თემატური პლაკატები, რუკები, გეომეტრიული ფიგურები, ლაბორატორიებში მულიაჟები ხელსაწყოები, ლაბორატორიული ჭურჭელი...

სკოლა სსსმ მოსწავლეების სწავლებას ახორციელებს როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ისე მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული სხვა საგანმანთლებლო რესურსებით.

შესაბამისად, სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.

**ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო სივრცის ამსახველი ფოტოები
2. ბიბლიოთეკის წესი
3. ბიბლიოთეკარის სარეგისტრაციო ჟურნალები
4. რესურსოთახის ფოტომასალა
5. საკადასტრო გეგმა;
6. ამონაწეი საჯარო რეესტრიდან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

7. ინვენტარის მიღება-ჩაბარებები;
8. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

**შეფასება:**

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად აქვს სულ 28 კომპიუტერი, 4 პროექტორი, 4 პრინტერი . ყველა კომპიუტერი არის მუშა მდგომარეობაში. სკოლის ინფორმაციულ და საკომონუკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი საჭიროებისამებრ ეხმარებასკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლაში არის ინტერნეტქსელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მოსწავლეებს და დასაქმებულებს შესაძლებლობა აქვთ სასწავლო მიზნებისათვის ისარგებლონ როგორც ტექნოლოგიებით, ისე ინტერნეტით. თავის მხრივ სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მათ ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან გამოყოფილი თანამშრომელი უზრუნველყოფენ სისტემის და კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებას.

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიან ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც შემდგომში აისახება 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

გარდა კომპიუტერული კაბინეტისა, ქსელში ჩართული კომპიუტერებით აღჭურვილია: დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილეების კაბინეტები, კანცელარია, რესურს ოთახი, საკლუბო სამუშაოებისთვის გამოყოფილი ოთახი, ბუღალტრისა და ბიბლიოთეკა. ასევე, საჭიროების მიხედვით, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ბაზაზე არსებული ციფრული ტექნიკა.

**ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო სივრცის გამოყენების გეგმა. მიღება-ჩაბარებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორით და პროექტორის ეკრანის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია wi-fi-ით.

სკოლის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელთან , რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის გამართულ მუშაობაზე, ინტერვიუტითა და თვითშეფასების დოკუმენტით დგინდება, რომ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისას მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის სხვა თანამშრომლებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ ელექტრონული რესურსებით, ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებგვერდით. მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში შუძლიათ , სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში შეასრულონ კომპლექსური დავალებები ან მოიძიონ მათთვის სასურველი სასწავლო რესურსი. დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ კომპიუტერების არასასწავლო მიზნებისთვის გამოყენება, კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის, დაუშვებელია /კომპიუტერების გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში ხარვეზის თვითნებურად გასწორება.

სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნებისთვის ციფრულ ტექნიკას. სკოლა აღჭურვილია ცენტრალური WiFi სიტემით, თუმცა სკოლის ადმინისტრაციამ საუბრისას გამოთქვა სურვილი, რომ გეგმავს WiFi სისტემის გაუმჯობესებას .

**ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მუშაობის ვიზუალური დათვალიერება;
2. ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესყიდვის დოკუმენტები.

**შეფასება:**

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ ქ. თბილისის№ 213 სკოლაში საქმისწარმოების პროცესი ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს საქმის მწარმოებელი, რომელსაც მინიჭებული აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი და იგი პასუხისმგებელია საქმისწარმოების გამართულ მუშაობაზე. საქმისმწარმოებელი დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემა Eflow-ში ახორციელებს დოკუმენტების ელექტრონულად რეგისტრაციას და აღრიცხვას. იგი არის ასევე არქივზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. საქმისმწარმოებელი იღებს შემოსულ კორესპონდენციას, ამუშავებს მას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

და საერთო ბრძანებებად და დანომრილია კალენდარული წლიდან წლამდე გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. წერილები და სამსახურეობრივ ბარათები რეგისტრირდება Eflow-ში, რომლებსაც ავტომატურად ენიჭება სარეგისტრაციო ნომრები და თარიღები. სკოლის საქმისწარმოების დამტკიცებული დოკუმენტის საფუძველზე სკოლას აქვს არის საკადრო, საერთო და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები, რომლებიც დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით .

**ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში შემოსული კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. ენიჭება შემოსული დოკუმენტის ნომერი. ასევე გასულ დოკუმენტს ენიჭება გასული დოკუმენტის შესასბამისი ნიომერი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsofr Outlook, საიდანაც იგზავნება და მიიღება საჭირო ინფორმაცია. Eschool-ის სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ და სკოლის საშტატო განრიგი. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchoolს სისტემის მეშვეობით. ცვლილების შემთხვევაში ელექტრონულად ხდება სამეურვეო საბჭოს წევრის ცვლილების ასახვა და საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. ინფორმაციისა და დოკუმენტის მიღება ხდება შესაძლებელია აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე tbilisi213@mes.gov.ge პირველკლასელთა რეგისტრაციის დროს სკოლა იყენებს ბმულს registration.emis.ge, ვაკანტური თანამდებობი ცხადდება ელექტრონული დასაქმების გვერდზე teacherjobs.ge სკოლას მომხმარებლის გვერდები აქვს შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია და eauction.ge-ზე სადაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში აცხადებს აუქციონს ფართის იჯარით სარგებლობის გაცემის მიზნით. ფინანსური გადარიცხვების მიზნით ერთიან სახაზინო სისტემაზე გადასვლის შემდეგ სკოლა აგრეთვე სარგებლობს https://www.etreasury.ge/ სადაც შესაბამისი პროცედურების მიხედვით ხდება ფინანსური ოპერაციები.

**ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის დირექტორის განმარტებით საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად, ხდება მონაცემების განახლება და ასახვა ელექტრონულ სისტემებში. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია

**ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია კონტროლის განმახორციელებლ სახელმწიფო უწყებებთან: განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციოს სისტემა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. გარდა ამისა, სკოლა გეგმიურად, კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, ყოველწლიურად წარადგენს ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშებს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ (პრემიერი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე), რომელიც ქვეყნდება matsne.gov.ge-ზეც. იჯარის ფორმით ქონების სარგებლობაში გაცემის შემთხვევაში ინფორმაცია დადგენილ ვადებში მიეწოდებათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს. ასევე, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კი დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

**ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქმისწარმოების წესი;
2. ბრძანებების ჟურნალები;
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
5. ვიზუალური დათვალიერებით.
6. 10 დეკემბრის ანგარიში;

**შეფასება:**

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებსა და გზებს.
სკოლას აქვს ოფიციაური ვებ. გვერდი https://skolebi-admin.emis.ge/auth, სადაც განთავსებულია სკოლის საქმიანობის ამსახველი მასალა.ასევე , საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ინფორმირება ხდება სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK)-ის, მესენჯერში სხვადასხვა დახურული სოციალური ჯგუფების, აგრეთვე თიმსის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სოციალურ ქსელშია განთავსებული ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ: სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა. დახურულ სოციალურ ქსელში მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ასევე, მშობლები იღებენ ინფორმაციას მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ ელექტრონული ჟურნალის შესახებ. ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. თემის სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირად სკოლაში უშუალო კომუნიკაციით ხდება ინფორმაციების გაცვლა- მიწოდება- გაზიარება.
დამრიგებელი მშობლებს და დაინტერესებულ პირებს უკავშირდება ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწერების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება:

- მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
- ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
- კომენტარებით I-V კლასებში;
- მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 3.6.3. 1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლა ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელსაც განათავსდებს სოციალური ქსელში და დახურულ ჯგუფებში, ასევე ინფორმაციები ღონისძიებების, კონკურსების, სხვადასხვა სახის აქტივობების შესახებ არის გადამოწმებული, სწორი და სანდო. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება მშობლის თანხმობით. ინფორმაცია ასევე ვრცელდება მშობელთა კრებების მეშვეობით. ამავდროულად ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ და ვებ-გვერდებზე. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურება. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამიზნულია ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მოქნილად მოპოვებისთვის.

სკოლა არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. ამ სივრცეში სკოლა აზიარებს მხოლოდ საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს.

**ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

ნებისმიერი საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ხდება ინფორმაციის დამუშავება და შესაბამისი რეაგირება. დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვა.

სკოლას ჰქონდა შემთხვევა, ელექტრონულ ფოსტაზე ანონიმური წერილის მიღებისა, რომელიც შინაარსიც გამაფრთხილებელი იყო. საშიშროების სიმძიმის გათვალისწინებით, სკოლამ მოახდინა სწრაფი რეაგირება. შეტყობინება შევიდა როგორც შსს-ში, 112-ში , ისე რესურსცენტრში და მანდატურის სამსახურში. მოხდა სკოლის დათვალიერება შესაბამისი სამსახურების მიერ.რის შედეგადაც საკოლო საზოგადოებამ, მოსწავლეებმა , დასაქმებულმა პერსონალმა თავი უფრო უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნეს.

**ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე. ნებისმიერი სახის ინფორმაცია რომელიც თავსდება სხვადასხვა საკომუნიკაციო სივრცეში არის ქართულ ენაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: საკონტაქტო ინფორმაცია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმები, მისია, ხედვა, ღირებულებები, მოსწავლის მიღების წესი, შინაგანაწესი, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტები და სხვა.

**ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

1. სკოლის ვებ გვერდი;
2. დაწესებულების სოციალური ქსელი;
3. საქმისწარმოების წესი;
4. ვიზუალური დათვალიერება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ სამოქმედო გეგმა განხორციელდეს. საკუთარ ფინანსურ რესურსს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით. არსებული ბიუჯეტი საკმარისია, რათა სრულად დაკმაყოფილდეს ყველა საჭიროება. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს. მას სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის დირექტორი. ბიუჯეტის შემუშავება ხდება წინა წლის ანალიზისა და გამოცდილების მიხედვით. სკოლის ბიუჯეტი შედგება შემოსავლითი და ხარჯვითი ნაწილისაგან. შემოსავლით ნაწილში ძირითადი წილი მოდის ვაუჩერულ დაფინანსებაზე. მიმდინარე სასწავლო წელს , ისევე , როგორს წინა წელს, სკოლას ასევე აქვს იჯარიდან და წრეებიდან შემოსავლები. საბიუჯეტო თანხის ძირითადი ნაწილი იხარჯება დასაქმებულების შრომით ანაზღაურებაზე, კომუნალურ გადასახადებზე, სკოლისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოებზე. პერიოდულად საჭიროებებიდან გამომდინარე ინფრასტრუქტურის სააგენტო გამოყოფს დამატებით სახრებს.

აუცილებლობის შემთხვევაში სკოლის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი თანხების ჩარიცხვის ან საანგარიშო პერიოდში თანხის არარსებობის შემთხვევაში სკოლა აკორექტირებს ბიუჯეტს, რომლის პროექტიც ასევე დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს.

**ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში სკოლა ფინანსების ეფექტურად მართვის მიზნით აკონტროლებს საკუთარ შემოსავალს და გასავალს. სკოლის დირექტორი, ყოველწლიურად, 10 დეკემბერს ანგარიშვალდებულების მიზნით სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. წლის განმავლობაში დგება ცვლილების საჭიროება ფაქტობრივი შემოსავლებისა და გასავლების მიხედვით. დირექტორი სისტემატურად ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს და დროულად ახდენს რეაგირებას. სკოლას ჰყავს ბუღალტერი, რომელიც დირექტორთან ერთად ფინანსების გათვალისწინებით შეიმუშავებს ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. სკოლას აქვს დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა, სკოლის ბუღალტერი არის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის რეგისტრაციასა და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირი. შესყიდვების გეგმაში ცვლილება აისახება ePIAN – ის მოდულში. სკოლის მიერ კონკრეტული საჭიროების შესყიდვა ხორციელდება წინასწარ დამტკიცებული შესყიდვების გეგმის მიხედვით(ბრძანება N 2-166). ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი კორექტირება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება. შესყიდვის განხორციელება ხდება წინასწარი ბაზრის კვლევის საფუძველზე. ამ მიზნით, დირექტორის მიერ ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი წარადგენს ბაზრის კვლევის შესახებ ინფორმაციას.

**ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
2. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
3. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
4. სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით;
5. ბრძანებები შესყიდვების შესახებ;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლეთა ძირითადი უფლებები: ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სკოლის მართვაში ჩართულობა, გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებისა, რწმენის თავისუფლება, ასევე გასაჩივრების უფლება, მოსწავლეთა უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი სკოლაში სრულადაა დაცული.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მარგულირებელი ნორმები. მოსწავლეები ყოველწლიურად ირჩევენ მოსწავლეთა თვითმმართველობას. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე ხდება სამეურვეო საბჭოს წევრი, მონაწილეობას იღებს სამეურვეო საბჭოს მუშაობაში და სარგებლობს ხმის უფლებით. მოსწავლეთა თვითმმართველობას აქვს საკუთარი დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილია შექმნას სხვადასხვა კლუბები. ასევე სკოლას ჰყავს 2 მანდატური, კლასებში იმუშავებენ ქცევის წესებს და აქვთ გამოკრული კედელზე. მოსწავლეთა წარმომადგენლები ასევე არიან სკოლის დისციპლინარულ კომიტეტში.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამოცდების ტიპები. ნიშნის ამაღლების სურვილის შემთხვევაში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩააბარონ სემესტრული გამოცდა, ასევე სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ექსტერნატისა და საშემოდგომო გამოცდების შესახებ. თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები სკოლაში არ დანიშნულა.

მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვა, აგრეთვე სტატუსის შეჩერება ხდება მინისტრის მიერ დადგენილი ბრძანების შესაბამისად. გაცდენების შემთხვევაში სკოლა ინფორმაციას აწვდის მშობელს მოსალოდნელი შედეგის შესახებ, ხოლო ზედიზედ 45 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ აცნობებს მშობელს. მოსწავლეთა პირად საქმეში ინახება მინისტრი ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

მოსწავლეთა დისიცპლინური გადაცდომების შემთხვევაში, მათი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, წარმოების დაწყებისთანავე პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელი. გამოკითხვა ხოციელდება მხოლოდ მშობლის თანდასწრებით. გამოცემულ ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადები და ადგილი. მოსწავლის მიმართ დისიციპლინური სახდელის გამოტანის შესახებ გადაწყვეტილების ასლი ეგზავნებათ ან გადაეცემა მშობელს, რაც მისი მხრიდან დასტურდება ხელმოწერით. კერძოდ, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის მანდატურის დარღვევის აღრიცხვის ფურცლის საფუძველზე, დაიწყო დისციპლინური დირექტორის მიერუშუალოდ, მშობლის თანდასწრებით გამოიკითხა მოსწავლე და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, მშობელმა მოაწერა ხელი გაცნობას, რის შემდეგაც გამოიცა სამართლებრივი აქტი.

სსსმ მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ ინკლუზიური განათლება, რაც ასევე წარმოადგენს სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის გარანტიას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შიდა რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შიდა რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის: მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაზიარება ძირითადად ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლი ქცევის კოდექსს, ასევე ამონარიდებს სასკოლო სასწავლო გეგმიდან, დამრიგებლის ფუნქციებს ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და მისი გაცნობის შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესულ პირს. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსდებულია ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მოსწავლეების უფლებებთან. უფლებების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეებს მიეწოდებათ აგრეთვე სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღეები და დრო, როდესაც მშობელს შეუძლია წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას. სკოლაში შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია უფლებები და ურთიერთობის ფორმები, სადაც აღწერილია მშობლისა და სკოლი ვალდებულებები, მშობლების სკოლაში გამოცხადების წესი, ასევე დადგენილია როგორ ხდება მშობლის ინფორმირება. აღნიშნული დოკუმენტი მშობლებს მიეწოდებათ კლასების დამრიგებლების მეშვეობით. სადამრიგებლო საათის ფარგლებში კლასის დამრიგებლების მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, ასევე გამოცდებისა და სხვადასხვა კონკურებისა თუ ოლიმპიადების შესახებ. ასევე ინფორმაციები გაზიარებულია სოციალური ქსელის მეშვეობით და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე, სადაც სისტემატიურად ხდება ინფორმაციის განახლება-განთავსება.

გასაჯაროებულია სკოლის ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი :

- შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციის მექანიზმების დოკუმენტი;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- თვითმმართველობის ოქმი;

**ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელის წლის დასაწყისშივე ფორმდება. რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებება-მოვალეობები, სკოლის მიერ მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, ხელშეკრულების მოქმედების .

მიუხედავად იმისა, რომ მშობლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსი ერთგვაროვანია, კლასის დამრიგებლები მშობლებს წინასწარ აცნობენ მის შინაარსს. ამ დრომდე მშობლების მხრიდან შენიშვნები ან განსხვავებული მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა. სკოლა მზადაა მშობლების არგუმენტების გათვალისწინებით, შეთანხმებისა და მათი ინტერესების საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად მათთან გაფორმდეს განსხვავებული შინაარსის ხელშეკრულება. ასევე ფორმდება თანხმობა მშობელთან მისი შვილის პერსონალური მონაცემების კანონიერი მიზნებით დამუშავებისათვის. ასევე ექსკურსიებზე წასვლისას დამრიგებლები იღებენ წელილობით თანხმობას

**რჩევა:**

გამომდინარე, იქიდან, რომ მშობლის ხელშეკრულების მე-9 მუხლი მოიცავს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების თანხმოვის შინაარსს,მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების თანხმობის ფორმის გამოყენება ცალკე დოკუმენტად საჭირო არ არის.

**ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი
2. უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი
3. საკადრო ბრძანებების ჟურნალი
4. დამრიგებელთა ანგარიშები
5. სკოლასა და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
6. მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციის მექანიზმების დოკუმენტი;
7. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
8. თვითმმართველობის ოქმი;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე.

ჩარიცხვა-ამორიცხვის მექანიზმები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აგრეთვე საფეხურის დაძლევა ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად. მოსწავლის პირველ კლასში რეგისტრაცია და ჩარიცხვა ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში შესაბამისი ეტაპების გათვალისწინებით. ვადების გამოცხადებისთანავე საჯარო სივრცეში თავსდება აღნიშნული ინფორმაცია. ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ჩარიცხვისათვის

დოკუმენტაციის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი პირველ ეტაპზე რეგისტრირდება მოსწავლე, მშობელს მიეწოდება ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო ღონისძიებების, პირველ კლასში სსსმ მოსწავლის რეგისტარციისა და ჩარიცხვის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. შესაბამისი ასახვა კი ხდება სკოლის eshool-ის ბაზაში. თუმცა მიმდინარე წელს სსსმ მოსწავლე არ ჩარიცხულა.

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული აქვს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებები დამრიგებლების მეშვეობით ეცნობებათ მშობლებს მშობელთა კრებაზე.

მშობლებს როგორც კლასის დამრიგებლების, ისე საქმისმწარმოებლის მეშვეობით შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია მობილობასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ. კლასის დამრიგებლი აწვდის აგრეთვე ინფორმაციას მშობელს გაცდენების გამო მოსალოდნელი სტატუსის შეჩერების შესახებ. სტატუსის აღდგენის შემთხვევა სკოლაში არ ყოფილა. დაინტერესებულ პირს, რომელსაც არ აქვს მოსწავლის სტატუსი განემარტება ექსტერნის გამოცდაზე საჭირო პროცედურის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდაზე დარეგისტრირებული იყო ერთი პირი, რომელსაც დაძლეული ჰქონდა საბაზო საფეხური, მას განემარტა შესაბამისი პროცედურების შესახებ და დაძლია მომდევნო ორი კლასი. მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არ არის წლიური გამოცდა. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები.

**ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მინისტრის მიერ დადგენილი ვადები და მექანიზმები. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ბარიერის გარეშე, სამართლებრივად დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული რიცხოვნობის ფარგლებში, მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების, ასევე პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის ასაკის შესაბამისად, სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge). მშობლებს დროულად მიეწოდებათ რეგისტრაციის, დისკუმენტების წარმოდგენისა და ჩარიცხვის ეტაპების შესახებ. ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს პროცედურების სრულად დაცვას. ასევე კლასის დამრიგებლები, რომლებიც წინასწარ აგროვებენ ინფორმაციას პირველ კლასში ჩასარიცხი დედმამიშვილების რიცხოვნობის შესახებ. რაც შეეხება, სხვა კლასებში ჩარიცხვას, იგი ხორციელდება სკოლაში არსებული თavისუფალი ადგილების ფარგლებში. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვა კლასებში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, წინმსწრებ კლასში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. მიმდინარე წელს გარეშე პირმა ექსტერნატის ფორმით დაძლია მე-10 და მე-11 კლასი და უნდა მოგვმართოს განცხადებით, (ვინაიდან არის სრულწლოვანი პირი) მისი მე-12 კლასში ჩარიცხვის მოთხოვნით. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში კი მიმართავს საგანმანათლებლო რესურცენტრს განსხვავებულ ვადებში მოსწავლის ჩარიცხვის ან კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. სსსმ მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მის პირად საქმესთან ერთად მიმღებ სკოლაში გაიგზავნება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაც. (სსსმ მოსწავლის მობილობა არ

განხორციელებულა). რაც შეეხება მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერებას, საზღვარგარეთ წასვლის გამო სტატუსი არ შეჩერებულა, თუმცა სტატუსი შეჩერედა ზედიზედ 45 სასწავლო დღის გაცდენის საფუძველზეც. ამ შემთხვევაში დაცულია შესაბამისი პროცედურები. კერძოდ, სტატუსის შეჩერებამდე 10 და 20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი წერს სამსახურებრივ ბარათს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სოციალური სამსახურს. სოციულურმა სამსახურმა გამოაგზავნა შესაბამისი პასუხი. მოსწავლის მიერ საბაზო ან საშუალო საფეხურის დაძლევა ხდება შესაბამის საფეხურზე შემავალი საგნების დაძლევის შედეგად. საშემოდგომო გამოცდა სკოლაში არ ჩატარებულა. ასევე საფეხურის დაძლევა ხდება ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. ექსტერნის გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც გაცდენების გამო, ისე ე.წ. ასაკობრივი ექსტერნი. 2022-2023 წელს ექსტერნატის ფორმით ორი კლასი დაძლია ერთმა პირმა. იგი მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა რესურსცენტრში, სკოლაში შედგა კომისია, განრიგი და გამოცდების ჩატარების შემდეგ დაიწერა შესაბამისი შედეგები. მას შემდეგ რაც საქმისმწარმოებელს მიეწოდა დაზუსტებული ინფორმაცია, სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება.სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით.

სსსმ მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა და საფეხურის დაძლევა ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დადგენილი მიზნების მიღწევის შემდეგ. სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილავენ ინფორმაციას საფეხურის დაძლევის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე ხდება მხოლოდ მობილობის შემთხვევაში, ხოლო საშუალო საფეხურზე ამორიცხვა ხდება მშობლის განცხადების ან სრულწლოვნი პირის შემთხვევაში თავად ამ პირის განცხადების საფუძველზე მობილობის გარეშე. თუმცა საშუალო საფეხურიდან ამორიცხვის მოთხოვნით არავის მოუმართავს.

**ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეები სახით, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სკოლა მე-5 კლასიდან ახორციელებს მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) სწავლებას მშობლებთან შეთანხმებით.

სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მშობლებს გააცნობენ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროგრამები, გაკვეთილების განრიგი, შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე, დამრიგებლის ფუნქციების შესახებ, სასკოლო სასწავლო გეგმის ცალკეულ ამონარიდებს. ასევე მშობლები ინფორმირებული იყვნენ სკოლაში საკვები პროდუქტების სარეალიზაციო დახლის არსებობისა და ცეკვის სტუდიის, ფეხბურთის წრის ფუნქციონირების შესახებ. აღნიშნული საქმიანობები ხორციელდება სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართებზე. სკოლაში შარშან ფუნქციონირებდა გახანგრძლივებული წრე, რომელიც შეიქმნა სასწავლო წლის დასაწყისში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

გათვალისწინებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში. დირექტორმა წარმოადგინა მასწავლებელსა და მშობელთან გაუფორმებული ხელშეკრულებები. მასწავლებელი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად არ არის სკოლის თანამშრომელი.

დამრიგებლები დახურულ სოციალურ ჯგუფებში და ფბ გვერდზე მშობლებს და მოსწავლეებს წლის განმავლობაში აწვდიან აგრეთვე სხვადასხვა ინფორმაციას. მაგ: კონკურსების, სპორტული შეჯიბრებების, ოლიმპიადების, აგრეთვე მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების, კლუბების, არაფორმალური განათლების შესახებ.

მეორე უცხო ენასთან დაკავშირებით, წლის ბოლოს ჩატარდა მე-4 კლასის მშობელთა კრებები. მშობლებმა არჩევანი გააკეთეს შეთავაზებულ უცხო ენებს შორის. არჩევანი გააკეთეს რუსულ და გერმანულ ენებზე. შესაბამისად მიმდინარე სასწავლო წლიდან ერთი პარალელი 10 მოსწავლე შეისწავლის გერმანულ ენას, ხოლო 14 რუსულ ენას. ასევე მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზა არჩევითი საგნები. გაფორმდა შესაბამისი ოქმები.

სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაციები იდება სკოლის ვებ-გვერდსა და ფბგვერდზე.

როგროც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა , სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რემედიაციულ აქტივობებს. პედაგოგები დამატებით დროს უთმობენ იმ მოსწავლეებს , რომლებსაც სჭირდებათ მათი მხარდაჭრა აკადემიური ხარისხის გასაუმჯობესებლად. გასულ წელს არაერთი რემედიაციული პროცესი წარმართეს სკოლის საგნისა და სპეც მასწავლებლებმა სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან. მათი განმარტებით სამომავლოდაც დაგეგმილი აქვთ რემედიაციული ღონისძიებები. . ვინაიდან პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. სკოლამ ვერ წარმოადგინა რამედიაციის მექანიზმები, რომელიც დაარეგულირებს და ორგანიზებულს გახდის რემედიაციის პროცესს.

**რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა , გაიწეროს რემედიაციის მექნიზმები მიეცეს დოკუმენტის სახე.**

**ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სსსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. სკოლის მიერ დაგეგმილი შეთავაზებული ყველა მომსახურება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის (ბრანება 2- 76) . მშობლები აღნიშნულ ინფორმაციას კლასის დამრიგებლებისაგან ძირითადად იღებენ სოციალური ქსელის საშუალებით, თუმცა ინფორმაცია მშობლისათვის ცნობილი შესაძლებელია გახდეს პირადი შეხვედრების დროსაც. ასევე სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასკოლო ფართი გაცემულია ქართული ცეკვის და სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-საქმისმწარმოებელი ძირითდად მშობლების ზეპირი მიმართვის საფუძლზე გასცემენ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე ინფორმაცია გამოკრული ხოლმე სკოლის შენობაში .

ასევე სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული, არადისკრიმინაციული და პროაქტიული. სკოლაში განცხადებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე, სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს).
აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო გეგმაში. რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან
**ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი
2. სკოლასა და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
3. მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციის მექანიზმების დოკუმენტი;
4. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც ხელს შეუწყობს სასკოლო პროცესში როგორც პირველკლასელთა, ისე მობილობის შედეგად გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას . გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, სასკოლო მზაობა, კლასის დამრიგებლის, მშობლისა და ფსიქოლოგის როლი, აგრეთვე სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია. ამავე წესში განსაზღვრულია დეზადაპტაციის ნიშნები და ამ პროცესის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლა აქტიურად თანამშრობლობს სკოლამდელ დაწესებულებასთან ,რომელიც უკვე ტრადიციაშია გადაზრდილი, რომელიც იმავე დასახლებაშია , რათა მოხდეს ინფორმაციის მოწოდება სკოლაში შემომსვლელ პირველკლასელების შესახებ. ამ მიზნით სკოლის დირექტორი ან პირველი კლასის მომავალი დამრიგებელი უკავშირდება ბაღის ადმინისტრაციას, შემომსვლელი ბავშვები რაოდენობის დასაზუსტებლად და სთავაზობს სურვილის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებამდე მოვიდნენ და გაეცნონ სკოლის სპეციფიკას. დირექტორმა აღნიშნა, რომ ერთგვარ ტრადიციად იქცა მომავალი პირველკლასელების სტუმრობა და დასწრება სასკოლაში ჩატარებულ მხიარული სტარტებსა თუ სხვა ღონისძიებებზე.

**ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ადაპტაციის წესი ვრცელდება მოსწავლის სწავლის დაწყების პირველივე დღიდან. მიუხედავად იმისა, რომ წესი ახალი დამტკიცებულია ადაპტაციისათვის საჭირო ღონისძიებები ამ

დრომდეც ხორციელდებოდა. პირველ კლასელთათვის ეწყობა საზეიმო ღონისძიება. კლასის დამრიგებელი სპეციალურად ამ დღისთვის ქმნის სადღესასწაულო განწყობას. ირთვება საკლასო ოთახი, რაც დასამახსოვრებელი და საზეიმოა მოსწავლეებისათვის. კლასში მათ ხვდებათ საჭირო ინვენტარი, მერხები, სასკოლო სახელმძღვანელოები და აგრეთვე მოსწავლის ბუკები . შემდგომში გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასწავლებელები ხელს უწყობენ ბავშვებს, რომ შეეგუონ ახალ გარემოს და არ იყოს სტრესული სასწავლო პროცესი. სწავლის დაწყებისას მოსწავლეები ეცნობიან სკოლის ინფრასტრუქტურას, ათვალიერებენ ბიბლიოთეკას, ეცნობიან სკოლის დირექციას.

მობილობის საფუძველზე ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებელი. იგი ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ადგენს მის საჭიროებებს, თავად მოსწავლეს და მშობელს აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო რესურსების, შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსის შესახებ, ათვალიერებინებს სკოლას, აცნობს კლასს ახალ მოსწავლეს. სკოლას აქვს მატერიალური და ადამიანური რესურსი სსსმ მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით. სკოლა აღჭურვილია სასწავლო ინვენტარი, ჰყავს კვალიფიციური მასწავლებლებელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები-ასისტენტები, აქვს სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახი და ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას არ აქვს პანდუსი, რადგან ამ ეტაპზე არ ჰყავთ ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.

ყველა არსებული რესურსი ხელმისაწვდომია სკოლის მოსწავლეებისთვის და აქვს აქტიური გამოყენება. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში მშობელს შესაძლებლობა აქვს შეხვდეს ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებს. ასევე, იმ შემთხვევაში თუკი ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის ცხადდება კონკურსი სპეციალისტის შერჩევის მიზნით, მშობელი ესწრება გასაუბრებას. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლისთვის 2 ასისტენტი .ასევე სკოლას ჰყავს სკოლის ექთანი.

სკოლას აქვს ასოციაცია ,,ანიკასთან'' თანამშრომლობის გამოცდილება, ცენტრის თანამშრომლებმა შშმ პირებმა სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარეს ცნობიერების ამაღლებისათვის შშმ პირების შესახებ პრეზენტაცია.

**ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა აძლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, დამატებითი მომსახურეობით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და თანამშრომლობით. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის ვალდებულება აქვს თითოეულ მასწავლებელს. ისინი აკვირდებიან მოსწავლეებს, ატარებენ დიაგნოსტიუკურ წერებს მოსწავლის ძიერი და განსავითარებელი მხარეების დასადგენად და ეხმარებიან მათ დამატებითი მეცადინეობების სახით შედეგის გასაუმჯობესებლად. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები და წესად აქვს გაწერილი პროცედურებიც. სკოლის თანამშრომლებმა ინტერვიურებს დროს განაცხადეს, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს არ აკმაყოფილებს მიღებული შეფასება და გადაბარების სურვილს გამოთქვამს, სკოლა მზადაა, მოსწავლეს დაუნიშნოს სემესტრული გამოცდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. პედაგოგთა თქმით, სკოლას აქვს იმის გამოცდილება, რომ თანაკლასელები ეხმარებიან ერთმანეთს სწავლის სირთულეების დაძლევაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ

საჭიროებისა და თავად მოსწავლის ინიციატივით გაკვეთილის მიმდინარეობისას ან შემდგომ მოსწავლე თავად უხსნის მასალას თანაკლასელს როგორ უნდა შეასრულოს კონკრეტული დავალება. ეს ერთგვარად ეხმარება მოსწავლეებ ურთიერთნამშრომლობით მონაწილეობა მიიღონ თანასწავლების პროცესში.

სკოლაში ტარდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელშემწყობი სხვადასხვა სემინარები, შეხვედრები, დამატებითი მეცადინეობები და პროექტები. სკოლა ინტერესების სფეროს მიხედვით ემსახურება მოსწავლეებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საშემოდგომო გამოცდებისა და ექსტერნატის გამოცდებისთვის მოსწავლეთა მომზადების პროცესში მასწავლებელთა მხრიდან გასაწევი კონსულტაციების ვალდებულება; სასწავლო წლის ბოლოს საშემოდგომო გამოცდების განსაზღვრის შემდეგ კლასის დამრიგებლის მონაწილეობით დგება თითოეულ საგანში ჩასატარებელი კონსულტაციების განრიგი. სკოლას აქვს პრაქტიკა (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის მასწავლებლებმა ჩაატარონ დამატებითი საათები კითხვის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა სასწავლო გამოწვევის დასაძლევად.

**ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაშ გამოხატავს მხარდაჭერას მოსწავლის მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ და ახორციელებს მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ვადებში. სკოლაში მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე ხდება მათი უფლებების გაცნობა, ასევე მოსწავლეებთან კლასის საათზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. მაგალითად იმას, რომ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არ დაეთანხმოს საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. ასევე უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ეს აქტი უნდა გაეცნოს მშობელს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. სკოლას ასევე ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის შემუშავებული აქვს ,,მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“ და ,,განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი“.

**ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას ატიურად ანხორციელებს ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. ამ მიზნით მასწავლებლები ცდილობენ დაგეგმონ ისეთი პროექტები, კომპლექსური დავალებები, რომელშიც მოსწავლეები შეძლებენ არაფორმალური განათლების დროს მიღებული გამოცდილების ტრანსფერს. ასევე ინტენსიურად ტარდება შიდა სასკოლო სპორტული შეჯიბრებები სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები., სამოქალაქო განათლების კლუბი ,,მაქსიმუსი» აქტიურად ახორციელდებდა არაფორმალურ აქტივობებს, ჩამონათვალი პროექტებს მოსწავლეების ინიციატივით დაიგეგმა პროექტი, რომლის ფარგლებშიც თემში დაიდგა საგზაო ნიშნები. ასევე აქტიურად აქყობდნენ სპორტული შეჯიბრებებს, მხიარული სტარტებს, გამოფენებს და სხვა. ასევე მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით ჩატარდა საინტერესო სასკოლო ღონისძიებები. შეიქმნა ლიტერატურული კლუბი რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა მოაწყვეს საინტერესო აქტივობები, რომლებშის მშობელთა ჩართულობით მოეწყო ასოების გამოსაახულებიანი ტკბილეულის გამოფენა -გაყოდვა და შემოსული თანხით სახელმღვანელოების შეძენა აღნიშნული კლუბისათვის.

მოსწავლეს სკოლის ლოგოს შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის და გამარჯვებისათვის გადაეცა სიგელი.

ასევე სკოლაში მეწარმეობის საფუძვლების პროგრამის შედეგად ჩამოყალიბდა მინიშოპის კომპანია რომელმაც მიიღო მონაწილეობა სამეწარმეო განათლების ფესტივალზე, კომპანიამ მიიღო გაყიდვების ლიცენზია.მოსწავლეები ახდენენ ხელნაკეთი ნივთების რეალიზებას, ატარებენ საქველმოქმედო აქციებს.

**ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექტორის განმარტებით, ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით ან კიდევ პირისპირ შეხვედრებზე. მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით მოსწავლეებში ჩატარდა გამოკითხვა, კითხვარების საშუალებით, მოხდა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვება. ანალიზისა და კვლევის შემდეგ მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული მათ სურვილები და მოლოდინები, როგორც გამოიკვეთა , შარშან დიდი ინტერესი გამოიწვია კულინარიის შესწავლამ, წელს დაიგეგმა თანამშრომლობის გაგრძელება კულინარიულ კოლეჯთან. წარმომადგენლებთან. ასევე სურვილი გამოთქვეს, პროფესიული განვითარების მიზნით, ეთანამშრომლათ კომპანია ,,დოისთან“ , რომელიც თავის მხრივ მცირე საწარმოს მოწყობასა და მოსწავლეებს ხელობის შესწავლა შესთავაზა.

**ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. პრეტებისა და ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები და ფოტო მასალა;
4. სადამრიგებლო პროგრამები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

5. კათედრის სხდომის ოქმები;
6. დისციპლიური კომიტეტის ოქმები;
7. კლუბების დებულებება;
8. ვიზუალური დათვალიერება;
9. შინაგანაწესი;
10. კლასსაათის მასალები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლის დამრიგებელი ატარებეს კლასის საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად, მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდიად სხვადასხვა პროფესიების, პროფესიული სასწავლებლების შესახებ. განხორციელდა ვიზიტები პროფესიულ სასწავლებელებში კოლეჯ იკაროსში სადაც მოსწავლეებმა ნახეს სასწავლო პროცესი და გაეცნენ ადგილზე სხვადასხვა პროფესიებს. მოსწავლეები ესწრებიან ღია კარის დღეებზე შეხვედრებს სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში. სკოლას აქვს გაფორმებული მემორანდუმი კოლეჯ ,,იკაროსთან'' რომელიც ახორციელებდა პროექტს სადაც ხდება კულინარიული პროფესისს შესწავლა. მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით იყვენენ ჩართულნი ამ პროექტში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სკოლა აქტიუტად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან . უნივერსიტეტ ,,ალტეში'. მოსწავლეები დაესწრნენ ლექციებს პროფესიული განვითარების შესახებ. ასევე სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ ალტერბრიჯი უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათ მოსწავლეებს უნივერსიტეტის პროგრამა გააცნეს და ღია კარის დღეზე მიიწვიეს შეხვედრა მოსწავლეებისთვის საინტერესოდ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა .

USAID - ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში განახორციელდა პროექტი ,,პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება მოსწავლეთა მიერ" პროექტის მიზიანი იყო პროფესიული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება სასკოლო საზოგადოებასა და თემში. აქტივობის ფარგლებში ვესტუმრეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სასამართლო ტურის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სტრუქტურასა და სასამართლოს მუშაობის სპეციფიკას. პროფესია იურისტს და სამართლის სხვადასხვა დარგებს. ტურის ბოლოს მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, დაეთვალიერებინათ სასამართლო სხდომის დარბაზები და ძველი ქართული სამართლის ძეგლების ფოლიანტები.

ასევე დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებებთან რათა მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ დაგეგმონ საკუთარი კარიერული მომავალი.

**ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

**2. ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა, კლასის დამრიგებლები, ასევე სამოქალაქო განათლების მასწავლებელი სკოლის დირექციის მიერ მიწოდებული და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეებს სისტემატურად აწვდიან განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მშობლები ყოველთვის არიან ინფორმირებულები სკოლაში მიმდინარე აქტივობების და პროცესების შესახებ, სკოლის სოციალური გვერდიდან და ასევე უშალოდ დამრიგებლების მხრიდან.მათი მხარდაჭერა იგრძნობა ყოველი აქტივობის განხორციელებისას.

შარშან, მაისის ბოლოს, ინფორმაციის მიღებისთანავე სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა მყისიერად მიაწოდა ინფორმაცია საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მეწარმეობის ოლიმპიადის (ESP) შესახებ. 2 ივნისს ჩატარდა ოლიმპიადა, სადაც მე-10 კლასის მოსწავლემ გადალახა დადგენილი ბარიერი და მიიღო სერტიფიკატი. სკოლის დამრიგებლებისა და მასწავლებლების ინიციატივით სკოლის მოსწავლეები სამუშაო პროცესის გაცნობის მიზნით სტუმრობენ სხვადასხვა დაწესებულებებსა და საწარმოებს. დირექცია და მასწავლებლები გეგმავენ მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე და ორგანიზებას უკეთებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებს , რომელთა ფარგლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ პირდაპირ პროფესიონალებს დაუსვან შეკითხვები და მიიღონ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები შეხვდნენ კვების ტექნოლოგს, ექთანს, ადვოკატს, ექიმს, ასევე ჰქონდათ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიზიტი, საგზაო ავტოსკოლის დირექტორთან. პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული დისკუსიები ასევე იმართება სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე. გარდა ამისა, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები, მაგალითად,

ალტერბრიჯის უნივერსიტეტის წარმომადგენელს ჰქონდა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან სადაც მოსწავლეებს გააცნეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებები. ამასთან, უკვე არსებული თანამშრომლობის ფარგლებში კომპანია ,,დიო"-სგან მივიღეთ შემოთავაზება მომავალი სასწავლო წლისთვის ოთახის მოწყობაზე, რომელმაც სასწავლო წლის დასაწყისში , მემორანდუმის ფარგლებში პროფესიული სწავლების მიზნით, გლდანის პროფესიულ კოლეჯთან ერთად სკოლა აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით .

**ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლის დირექციას დაგეგმილი აქვს , გამოკითხვის ჩატარება კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებით, შედეგების დაჯამების მიხედვით მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახული იქნება პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით მრავალფეროვანი ღონისძიებები.

**ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- ინტერვიუ დირექციასთან
- ფოტომასალა

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას სრულად აქვს შემუშავებული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სკოლაში სწავლობს 7 სსსმ მოსწავლე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები-სპეციალური მასწავლებელი, 2 ინდივიდუალური ასისტენტი. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში სსსმ მოსწავლეებისათვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფად სკოლამ დაამტკიცა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სასწავლო წლის განმავლობაში დადგეგმილი აქტივობები/ღონისძიებები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, განხორციელების პერიოდი. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში ვადაში შეიმუშავა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, რომელიც შედგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მოსწავლის კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროებების, ინტერესებისა და ინდივიდუალურ შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. თუკი გამოვლინდება ახალი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე იდენტიფიცირებიდან ერთი თვის ვადაში მტკიცდება ინდ.გეგმა. საჭიროების შემთხვევაში თუკი ამ საჭიროებას სკოლა დაასაბუთებს შესაძლებელია ინდ. გეგმაში შევიდეს ცვლილება, მშობლის თანხმობით. სსსმ მოსწავლე ფასდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდებიან სხვა მოსწავლეები.

პირველ კლასში სსსმ მოსწავლეების რეგისტრაცია ხდება პირველ ეტაპზე. მშობელი ავსებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მიმართვის ფორმას, რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სკოლა მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რათა მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს ბავშვი. მას შემდეგ რაც სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება იქნა წარმოდგენილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამისი ღილაკის გამოყენებით, აისახა სტატუსი და აიტვირთა შესაბამისი დასკვნა. სკოლის დირექტორმა გამოსცა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. მიმდინარე სასწავლო წელს სსსმ მოსწავლე არ დარეგისტრირებულა.

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, რომელიც იმავდროულად ჯგუფის კოორდინატორია, ასევე საგნების მასწავლებელები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები,მშობელი. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ისგ ჯგუფი იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ. ისგ ჯგუფის მდივანი აწარმოებს სხდომის ოქმებს, რომლებიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ. მონიტორინგის საფუძველზე დგება დასკვნას, რომელიც არაუგვიანეს 7 დღისა წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშის სახით.

სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლას აქვს ყველანაირი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი (რესურსოთახი, კომპიუტერი, განმავითარებელი სათამაშოები და სასწავლო ნივთები, ადაპტირებული საპირფარეშო) და ადამიანური რესურსები (ინკლუზიურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

განათლებაში ჩართული სპეციალისტები), რითიც უზრუნველყოფილია სსსმ პირის მიერ უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა, უნარების განვითარება და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების რეალიზება.
სსსმ მოსწავლეების პერსონალური ინფორმაცია დაცულია და მიუხედავად იმისა, რომ ინდ.გეგმები არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია, ისინი ინახება განცალკევებით, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის.
**ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მიზნით ჩართულია სასკოლო საზოგადოება. ისინი ინტეგრირებულები არიან კლსებში, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო. მოსწავლეების სწავლება ხორციელდება სკოლის მიერ შესაბამისი კლასისათვის შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. სკოლა ასევე იყენებს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებზე მორგებულ სხვადასხვა საგანამანათლებლო რესურსს. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობელთან შეხვედრა , რომელსაც განემარტება არსებული სირთულის შესახებ. მშობლის განცხადების საფუძველზე სპეციალური ფორმა იგზავნება სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდში, რათა შეფასდეს მოსწავლე და მიანიჭოს სსსმ სტატუსი. ტარდება არაერთი ღონისძიება, რომლებიც მიმართულია ცნობადობის ამაღლებასთან. მაგალითად აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილია ჯგუფი, რომელის წლის ბოოს შეიმუშავებს დასკვნას. ჯგუფის მხრიდან მონიტორინგის განხორციელების პროცესში ყურადღება მახვილდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით დასახული მიზნებისა და ისგ ჯგუფების მიერ წინასწარ დადგენილი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულებაზე.
სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ვლინდება ისგ ჯგუფის შემადგენლობაშიც, სადაც გაერთიენაბული არიან როგორც მასწავლებლები, ისე მშობელი. ისგ ჯგუფი იკრიბება მინიმუმ წელიწადში 4-ჯერ. მშობელი მუდმივადაა ინფორმირებული, ზეპირი კომუნიკაციის გზით, მისიშვილის პროგრესსა და მიღწევებზე. სასწავლო წლის ბოლოს ისგ ჯგუფის კოორდინატორი პედაგოგიურ საბჭოს, მშობელს და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს მისი შვილის სწავლის შედეგებზე.

**ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ოქმი
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვის ახორციელებდა მოსწავლეებისათვის დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, როგორიც არის ტრანსპორტირების სერვისი.

აღარ ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლება, აღარ მიეწოდებათ კვების სერვისი. სკოლას 2022 წლის ოქტომბრიდან სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სასკოლო კვების ბლოკის ფუნქციონირების მიზნით გაცემული ჰქონდა ფართი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ამჟამად, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის მიზნით იჯარის ფორმითაა გაცემული აგრეთვე ფართი ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით.

რაც შეეხება ტრანსპორტირებას, სკოლა სარგებლობს "საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამით ფარგლებში სსიპ ქალაქ თბილისის N 213 საჯარო სკოლა ჩართულია 2022-2023 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში, რომელსაც ახორციელებს ხელშეკრულების ფარგლებში კომპეტენტური მძღოლი, გამართული სატრანსპორტო საშუალებით. სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ აღნიშნული პროგრამით . ხორციელდება სასკოლო ექსკურსიის განხორციელების დროს, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებისა და სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვით. კერძოდ, ექსკურსიის მოწყობის მიზნით ექსკურსიის ორგანიზატორი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს და წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას. კერძოდ, სპეციალური განაცხადის შევსებულ ფორმას, მშობლის თანხმობას, ტრანსპორტის გამართულობის დამდასტურებელ დოკუმენტაციას, მართვის მოწმობის ასლს (მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილებით), ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც გაცემულია ბოლო 6 თვის განმავლობაში; მძღოლის პირადობის მოწმობის ასლს,ცნობას ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომლითაც დასტურდება რომ მძღოლი არ იმყოფება ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე და არ დასტურდება მის მიერ მოხმარების ფაქტი. სასკოლო ექსკურსიები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის მშობელთან შეთანხმებით.

**ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

ვიზიტის პერიოდში სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას.

**ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისად, „შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს“ ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.**

სსიპ. ქ. თბილისის №213 საჯარო სკოლაში არ ახორციელებს დამატებითმომსახურებას. თუმცა დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში ყოველთვის გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება ასევე მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული

ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პორცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი. ასევე გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება დაიცვას უსაფრთხოების წესები.

**ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

.....

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

VI. რჩევა

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების დაწყებითი<br>საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.1.1.* | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას | ➢ *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები. |
| *ინდიკატორი 2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას | ➢ *რჩევა 1*<br>ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში ძირითადი საკითხების დაზუსტება კათედრამ განახორციელოს ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მიხედვით საკითხის/საკითხთა კლასტერების გამოყოფის საფუძველზე.<br>*რჩევა 2*<br>დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.1.* | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით | ➢ **რჩევა1**<br>დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად |

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი -** (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, თვითშეფასების ფორმა, საგნობრივი კურიკულუმები) დაყრდნობით, ასევე, სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.
კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იაზრებენ სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის, მათ შორის კომპლექსური დავალების დაგეგმვისას. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალების შესრულებისას მიმდინარეობს დაკვირვება მოსწავლეების მიღწევებსა და შესაძლებლობებზე, შედეგების ანალიზი ხორციელდება შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით, რომელიც მუშავდება და მტკიცდება კათედრების მიერ, დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.
აღსანიშნავია, რომ, მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პროცესებში ჩართულ მხარეებად მოაზრებულია მხოლოდ მასწავლებელი, კათედრის თავმჯდომარე, დირექცია და აღწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:**

- მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ინდიკატორი 2.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **,,კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლას აქვს სპეციალურად შემუშავებული კითხვარების გამოყენებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის პრაქტიკა, კითხვარების ანალიზის შედეგად ზუსტდება სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. სკოლაში არსებობს დამრიგებლის გეგმები და დაწყებითი საფეხურის კათედრის სამოქმედო გეგმა, რომელთა ანალიზის დროსაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს როგორც მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს, ისე მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს, რაც ასახულია მაგალითად, სამოქალაქო განათლების კლუბის ,,მაქსიმუმის" სამოქმედო გეგმის ფარგლებში (პროგრამა ,,მომავლის თაობის") მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებში, სკოლის მეწარმეობის საფუძვლების კლუბის Mini Shop-ის აქტივობებში და სხვა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. ,,კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი პროფესიული განვითარების მიზნით პერიოდულად ესწრებიან სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერ გარე ღონისძიებებს (ქოუჩინგს, ტრენინგებს, და სხვ), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კურიკულუმზე მუშაობის პროცესს.

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მოსწავლეებიც. როგორც მასწავლებელმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესის ფარგლებში შესრულებული დავალებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის აქტივობები და რესურსები, რომლებიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა, და შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მშობლებიც. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტით, სკოლის დირექტორის ბრძანებითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“.

**ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4. ,,კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, სკოლის დირექტორთან, საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმების გაზიარების გამოცდილება - გაზიარება ხდება კათედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან - წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს სოციალური გვერდი Facebook-ზე (https://www.facebook.com/groups/1206581499849721), სადაც ქვეყნდება სასკოლო საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლის შენობის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საინფორმაციო დაფები, განვითარების პროცესშია სკოლის ოფიციალური ვებგვერდი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლისზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში*
- *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კათედრების სამოქმედო გეგმები;*
- *დანართი №187. ბრძანება № 2-48 „სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესის დამტკიცების შესახებ“;*
- *სკოლის ოფიციალური ფეისბუკ-გვერდი*

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **„შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს, იციან რას წარმოადგენს კურიკულუმის თითოეული კომპონენტი, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული საგნობრივი სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატურად. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს, ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს კომპლექსური დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს მრავალი საინტერესო პროდუქტის შექმნას, ამასთან, კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით სკოლა ყურადღებას უშუალოდ სწავლის პროცესზე ამახვილებს, რომელიც შეესაბამება კურიკულუმის მეთოდიკურ ორიენტირებს და ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების შესწავლის შემდეგ, სკოლაში ვიზიტის დროს, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს მიეცათ რჩევები, რომლებიც შეეხებოდა ახალ, გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებში მოცემული სასწავლო მასალის კურიკულუმებში ასახვას (ხელოვნება I-II კლასები; მუსიკა I-IV კლასები), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმებში დასამუშავებელი ცნებების დაზუსტებას და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოს სრულად გაწერას (შევსებული ჰქონდათ მხოლოდ ის თემები და საკითხები, რომელთა დამუშავებას ახდენდნენ კომპლექსური დავალებით). კათედრამ გაითავისა მიცემული რჩევები და დადგენილ ვადებში წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლის მიერ ბუნებისმეტყველების მიმართულებით წარმოდგენილი - I-VI კლასების კურიკულუმები არაერთგვაროვანია, კერძოდ:

- I კლასის კურიკულუმში (ჩარჩო-ცხრილი) მოცემულია სტანდარტით გათვალისწინებული ორივე სავალდებულო თემა, თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, თუმცა, საკითხები, კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ მოცემულია მხოლოდ პირველი თემისთვის; ასევე, მეორე თემის - ადამიანი - ფარგლებში არ არის წარმოდგენილი დასამუშავებელი საკითხები და შესაბამისი რესურსები. ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნული გარემოება მასწავლებლებმა ახსნეს იმით, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე მიმდინარეობდა I კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოების რევიზია.

- ბუნებისმეტყველების II-VI კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია კლასების მიხედვით სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემა, სამიზნე ცნებები, საკითხი/საკითები, მოცემულია კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ, სამიზნე ცნებებთან მიმართებით ქვეცნებების გამოყოფა არ ფიქსირდება II,III, V კლასების კურიკულუმებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- I-VI კლასების წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში რესურსების გრაფაში მოცემულია სახელმძღვანელოს პარაგრაფები გვერდების მითითებით, ტელესკოლის გაკვეთილების თუ სხვა ინტერნეტ - რესურსების ლინკები, თუმცა, არ არის მოცემული ექსპერიმენტის/ცდის დასახელება და ამ ცდების/ექსპერიმენტების ჩატარებისთვის საჭირო მასალები და მოწყობილობები.

**სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:**

- ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმში სავალდებულო თემების ფარგლებში ძირითადი საკითხების დაზუსტება კათედრამ განახორციელოს ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მიხედვით საკითხის/საკითხთა კლასტერების გამოყოფის საფუძველზე.
- დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად.

**ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გამჭოლი უნარები (კრტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა და სხვა), რომელთა საფუძველზეც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. სასწავლო გეგმის პრინციპები კორელაციაში მოდის გლობალურ-ფუნქციურ უნარებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, თავის მხრივ, ასევე ხელს უწყობს, ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით განსაზღვრული, გლობალური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განვითარებას. საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით. კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებისკენ. მაგალითად, მეხუთე კლასის, ინგლისური ენის კურიკულუმში, სავალდებულო თემის (ღირსშესანიშნაობები) ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის მომზადება თემაზე ლონდონისა და მშობლიური ქალაქის ღირსშესანიშნაობები. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება მეორე უცხო ენის სტანდარტის სავალდებულო თემატურ ჩარჩოს (სოციოკულტურა - ღირსშესანიშნაობები), ფარავს უცხო ენების გრძელვადიან მიზნებს და მეორეს მხრივ კი მოსწავლეს უვითარებს ისეთ ფუნქციურ უნარებს როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. ინგლისური ენის მეექვსე კლასის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალება, მოსწავლეებს ავალებს პრეზენტაციის გაკეთებას სურათის საშუალებით, რომლის მეშვეობითაც წარუდგენენ საკუთარ თავს უახლოეს მეგობარს, ან ნათესავს. მოცემული კომპლექსური დავალება ავითარებს როგორც კომუნიკაციის, ისე კოლაბორაციისა და შემოქმდებით უნარებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია მაგალითად მოვიყვანოთ ბუნებისმეტყველებაში IV კლასში დაგეგმილი კომპლექსური დავალება - "დაკვირვება პეპლის სასიცოცხლო ციკლზე" (ილუსტრირებული საბავშვო მოთხრობის შექმნა). აღნიშნული დავალების ფარგლებში გათვალისწინებულია სამიზნე ცნების - „ორგანიზმი, საარსებო გარემო" დამუშავება, აღნიშნულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოცემულია ქვეცნებები. კომპლექსური დავალების იდეა ითვალისწინებს დაკვირვებას პეპლის სასიცოცხლო ციკლზე და შედეგების წარმოჩენას ილუსტრირებული საბავშვო მოთხრობის შექმნით, დაგეგმილია შემდეგი რესურსების გამოყენება: ძირითადი სახელმძღვანელო (რაც ითალისწინებს მოსწავლის მიერ ტექსტზე მუშაობას) და ტელესკოლის გაკვეთილი (მოსწავლე უყურებს, პასუხობს მასწავლებლის კითხვებს, მონაწილეობს დისკუსიაში, გამოთქვამს საკუთარ აზრს). შედეგად მოსწავლე ქმნის ილუსტრირებულ მოთხრობას (აღნიშნული ითვალისწინებს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა არის მოთხრობა, საბავშვო მოთხრობა, ილუსტრაცია; რა ოპერაციებია განსახორციელებელი მოთხრობის შესაქმნელად; კომუნიკაცია და კოლაბორაცია მოთხრობაზე მუშაობის პროცესში; და ა.შ.), რაც მიემართება ესგ-თი განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათი, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები).

**ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. ,,**სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს"**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლეში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას დიფერენცირებულ-ინკლუზიური მიდგომით. დაწყებითი კლასების კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოახდინოს პროცესის, შინაარსის, რესურსების დიფერენცირება, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გარემოს ადაპტირება და უზრუნველყოს სხვადასხვა საჭიროების მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მათ ეხმარება დიფერენცირებული მიდგომების დანერგვაში. გარდა ამისა, სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფარგლებში შექმნილი ადაპტირებული მატრიცები. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ. ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა კომპლექსური დავალებების პირობები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო დავალებების განხორციელების ეტაპები / სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.). ვიზიტის დროს, დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის გათვალისწინებით არჩევენ აქტივობებს, ამარტივებენ ან ართულებენ შესასრულებელ დავალებებს. კომპლექსური დავალების პრეზენტაციის დროს აძლევენ არჩევანის უფლებას. საკუთრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა დიფერენცირებაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ სასწავლო

თემები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალების პირობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. კომპლექსური დავალების პირობები, იმგვარად არის ფორმულირებული, რომ იძლევა არჩევანის საშუალებას (მაგ: წარმოადგინე პოსტერი ან პრეზენტაცია). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **,,განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც გულისხმობს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლა 2023–2024 სასწავლო წელს ირჩევს შეფასების პირველი მოდელს, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაში აქვს გაწერილი. განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ყველა საგნობრივი მიმართულებით ნიმუშის სახით შექმნილიც აქვთ რამდენიმე რუბრიკა და ინტენსიურად აგრძელებენ ამ საკითხზე მუშაობას მესამე თაობის ეროვნული სასწავლი გეგმისა და შერჩეული კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებების შესაბამისად. აღნიშნული მიმართულებით სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიც, რომლებშიც კარგად არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებს, მკვიდრ წარმოდგენებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლას გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებით აწარმოოს მოსწავლეთა შეფასება.

**ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. **,,დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის

განახლება კი ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეაქვთ სასწავლო საკითხები და შუალედური მიზნები. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ანალიზს უკეთებენ წინა წლის კურიკულუმებს და ამის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი. ისინი მოსწავლეთა ინტერესების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების საფუძველზე არჩევენ სასწავლო თემებსა და კომპლექსური დავალების პირობებს. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ასევე გამოიყენება, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სხვადასხვა საგანში ჩატარებული, წლიური გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო წერის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

**ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წწ.).*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები); განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ბუნებისმეტყველება)*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (უცხო ენები; სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება)*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. „სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენლი მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება წარმოადგენს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით, ვიზიტის დროს, მათ ისაუბრეს თუ როგორ ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს - მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებსა და თემებს. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, უცხოურ ენებში, - „შინაური და ფერმის ცხოველებს დახატვა/გამოძერწვა“ და პრეზენტაცია, პოსტერის შექმნა წელიწადის დროებზე და ნახატებით/ფოტოებით გაფორმება, პრეზენტაცია თემაზე „ჩემი ერთი დღე“, სიმულაციური დიალოგი თანაკლასელის ერთ-ერთი ზღაპრის გმირის დახასიათების მიზნით და სხვა. ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში - ილუსტრირებული საბავშვო მოთხრობის შექმნა, ინტერაქტიული რვეულის შექმნა და სხვა. მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის სხვა საგნებშიც, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულს უზრუნველსაყოფად, კომპლექსური დავალებების გარდა, კათედრის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სახის კლასგარეშე აქტივობებიც - საგანმანათლებლო და ინტელექტუალური თამაშები, შემეცნებითი ღონისძიებები, შეჯიბრები - რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. „ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის პრინციპების დაცვით. საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. პედაგოგები ცდილობენ ყველა თემა მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს დაუკავშირონ, რაც, მათივე განმარტებით, მოსწავლეებს მისცემს წინარე ცოდნის გააქტიურებისა და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას, წინარე ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება კი მათ დაეხმარება თავად იყვნენ ყოველი ახლის აღმომჩენი და სწავლის უმთავრეს პროცესებზე პასუხისმგებელნი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში, რისთვისაც საკითხის დამუშავებამდე მასწავლებელი არჩევს საინტერესო, მიზნობრივ რესურსებს, სხვადასხვა ინსტრუმენტით/მეთოდით/აქტივობით ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა იმ საკითხის შესახებ, რომლის ახსნასაც აპირებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ნაცნობი კონტექსტების, გამოცდილების გათვალისწინებით, აწვდის ახალ მასალას, შესაბამისად, ,,ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. „სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე“**

სსიპ ქალაქ თბილისის N 213 საჯარო სკოლაში, დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეაფასოს და გააკეთოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს დაშვებულ შეცდომებს და ეძებს გზებს ნაშრომის გასაუმჯობესებლად. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს სწავლის პროცესში გადადგმული თითოეული ნაბიჯი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაასახელეს კონკრეტული სტრატეგიები (შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და სხვა.), რომლებსაც იყენებენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარების ხელშესაწყობად. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ ბუნებისმეტყველების მეოთხე კლასში დაგეგმილი კომპლექსური დავალება „პეპელა მონარქის თავგადასავალი (ილუსტრირერბული საბავშვო მოთხრობის შექმნა), რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის მიერ პროდუქტის სახით ილუსტრირებული საბავშვო მოთხრობის შექმნას. დაგეგმილია შემდეგი რესურსების გამოყენება: ძირითადი სახელმძღვანელო (რაც ითვალისწინებს მოსწავლის მიერ ტექსტზე მუშაობის სწავლას), ტელესკოლის გაკვეთილი (მოსწავლე უყურებს, პასუხობს მასწავლებლის კითხვებს, მონაწილეობს დისკუსიაში, გამოთქვამს საკუთარ აზრს), მოსწავლე ქმნის ილუსტრაციებს, ქმნის მოთხრობას (რაც ითვალისწინებს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რა არის ილუსტრაცია, მოთხრობა, საბავშვო მოთხრობა; რა მოქმედებებია განსახორციელებელი ილუსტრირებული მოთხრობის შესაქმნელად; კომუნიკაცია და კოლაბორაცია მოდელზე მუშაობის პროცესში; და ა.შ.) ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ვიზიტის დროს წარმოჩენილი მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **„სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)“**

სსიპ ქალაქ თბილისის N 213 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. მოცემული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). აღნიშნული დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან გასაუბრების დროს. მაგალითისთვის, აღნიშნულის დასტურია საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ვიზუალური პროგრამირების პლატფორმებზე (https://studio.code.org/ , www.scratch.mit.edu ) შესრულებული დავალებები. მოცემულ პლატფორმებზე მოსწავლემ რომ შეძლოს ობიექტის ანიმირება და გახმოვანება , მას უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნა ალგორითმზე, ციკლურობაზე, კოდების დანიშნულებაზე , უნდა ფლობდეს პრაქტიკაში ამის გამოყენების უნარს, უნდა შეუძლოს პროდუქტის პრეზენტირება/წარდგენა, მოახდინოს ვიზუალური პროგრამირების სხვადასხვა პლატფორმების საერთო და განსხვავებულ თვისებების ანალიზი. ასევე, მეორე უცხო ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეს ევალება საკუთარი გენიალოგიური ხის შედგენა და მისი წარდგენა თანაკლასელებისთვის. მოცემული კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეს მოეთხოვება ოჯახთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და პრეზენტაციისთვის აუცილებელი ფუქნციური გრამატიკის ცოდნა და გამოყენება ცხოვრებისეულ, სოციალურ სიტუაციაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო პროექტების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება“**

ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების წარმატებულ მცდელობაზე. მაგალითად, უცხოურ ენაში - „შინაური და ფერმის ცხოველებს დახატვა/გამოძერწვა“ და პრეზენტაცია, პოსტერის შექმნა წელიწადის დროებზე და ნახატებით/ფოტოებით გაფორმება, პრეზენტაცია თემაზე „ჩემი ერთი დღე“, პრეზენტაცია თემაზე ლონდონისა და მშობლიური ქალაქის ღირსშესანიშნაობები, პოსტერი-პრეზენტაცია ,,ცნობილი ადამიანების შესახებ“, თხრობითი ხასიათის ტექსტი თემაზე- “ჩემი ოჯახი“ და გენიალოგიური ხის შედგენა, სიმულაციური დიალოგი თანაკლასელის ერთ-ერთი ზღაპრის გმირის დახასიათების მიზნით, ზეპირი პრეზენტაცია ჩემი საოცნებო სახლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

შესახებ და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე განხორციელებული არაფორმალური აქტივობები (პროექტები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, მაგ. დედამიწის დღე, ბავშვთა დაცვის დღე, სტუმრობა უსაფრთხოების მართვის ცენტრში და სხვა.), რომლებიც ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების განმტკიცებას.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *განხორციელებული კომპლექსური დავალების ნაშრომები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების რუბრიკები.*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **,,სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო-ცხრილების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა

და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის, გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში არ არის მოცემული ექსპერიმენტის/ცდის დასახელება და ამ ცდების/ექსპერიმენტების ჩატარებისთვის საჭირო მასალები და მოწყობილობები. ამასთან, კურიკულუმების შესწავლამ და დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ექსპერიმენტის, ცდის გამოყენების მნიშვნელობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბებისათვის. მაგალითისთვის, II კლასის კურიკულუმით განსაზღვრული სავალდებულო თემის „წყალი როგორც გარემო“ ფარგლებში დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაში -„ინტერაქტიული რვეულის/საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მასალის შერჩევა წყლის სატრანსპორტო საშუალებების დასამზადებლად მათი დანიშნულების გათვალისწინებით“- მასწავლებლის მიერ გათვალისწინებულია წყლის ფიზიკური თვისებების გაცნობის მიზნით ექსპერიმენტების სერია, თუმცა, კურიკულუმში ექსპერიმენტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები არ არის ასახული.

**სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:**

- *დაწყებით საფეხურზე საგანში - ბუნებისმეტყველება - ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარებისათვის საჭირო რესურსები დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში კლასების შესაბამისად;*

**ინდიკატორი 2.2.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში კონკრეტული სავალდებულო თემის ფარგლებში გათვალისწინებულია კომპლექსური და/ან კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელება. საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და პოზიტიურ დამოკიდებულებს უყალიბებს სწავლის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლას აქვს პროექტების განხორციელების გამოცდილებაც, რომელთა თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქტივობებიც. დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა უმრავლესობა იაზრებს, რომ მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების, აპლიკაციებისა და პროგრამების გამოყენება (ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები და სხვა) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება „რატომ მოიწყინა კაკლის ხემ“, რომელიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, შემოქმედებითი პროდუქტის - ნახატის/პოსტერის (აიტ აპლიკაციის „ვსწავლობთ თამაშით“ გამოყენებით) შექმნაზე, რაც გულისხმობს გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპეტენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალება მისცემს განახორციელოს შესაბამისი ოპერაციები. მსგავსი ტიპის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე არამარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ ეცნობა სხვა მოსწავლეების პროდუქტებს, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, მოსაზრებებსა და არგუმენტებს, საჭიროების შემთხვევაში პასუხობს კონტრარგუმენტებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. „შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ (მეხუთე კლასის მეორე სემესტრი - მეექვსე კლასი), ისე განმავითარებელ შეფასებას (პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით), სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, რომლებშიც მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათი, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების მნიშვნელობა და ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა

**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4. „შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ვალიდურობის

უპირველეს ინსტრუმენტებად დასახელებულია სწავლა სწავლების შეფასების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე და მათზე დაფუძნებით შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებსაც მასწავლებლები წინასწარ და აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, შესაბამისად, მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას, წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას, არის მკაფიო და გაზომვადი, დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

**ინდიკატორი 2..2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. **„სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება - შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორი ან დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/პირები. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, ხოლო განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებბები და განსაზღვრონ პრობლემების აღმოფხვრის გზები.

**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

6. **„სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება საქმეთამმართველთან.

**ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, ისიც რომ სკოლა აქვს მშობელთა გაკვეთილებზე დასწრების პრაქტიკაც. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, კათედრის წევრი პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, რაც გამოიხატება ურთიერთდასწრებასა და უკუკავშირის მიწოდებაში. სკოლა დაწყებით

საფეხურზე ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოება ერთობლივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სკოლაში თითოეული მოსწავლე აღიარებული და დაფასებულია და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები - ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, დიაგნოსტიკური წერები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შესასწავლი თემების, საკითხების თანმიმდევრობა ემსახურება ცოდნის ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისაკენ ზრდას. მოსწავლეთა შეფასებები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მიეწოდებათ ისე, რომ ჩანდეს შესრულებული სამუშაოს დადებითი და გამოსასწორებელი მხარეები.

**ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **„სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის რეჟიმში ხდება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

**ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. „უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე“

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბების მიზნით კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას, ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე.

**ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის ჩარჩოები;*
- *განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სსსმ მოსწავლის ისგ.*

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესის წინაპირობაა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს, ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო დაგეგმვაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში, კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტებად გათვალისწინებულია წლიური გამოცდები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს - გეოგრაფია -VII, მათემატიკა- VIII, ინგლისური ენა- IX, ისტორია- X, ხოლო ინგლისური ენა- XI კლასებში) და სადიაგნოსტიკო წერები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს-მათემატიკა - V და VI კლასი, ქართული ენა და ლიტერატურა- VII კლასი, ხოლო ინგლისური ენა VIII და IX კლასებში), რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნის დონის დიაგნოსტირებას, პრობლემის აღმოჩენასა და გასაუმჯობესებელი გზების ძიებას.

ვიზიტის დროს, აღინიშნა, რომ კურიკულუმის დანრეგვის მონიტორინგი და შეფასება ასევე ხორცილდება ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფისა და კათედრის წევრების მიერ გაკვეთილებზე დასწრების გზით. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების საფუძველზე.

**ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას იმ გამოწვევების დაძლევაში, რომლებიც კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში წარმოიქმნება. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გამოყენებულია როგორც სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, სკოლა- როგორც ინსტიტუცია) მხარდამჭერი მექანიზმი. მოსწავლის შემთხვევაში - პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მასთან, კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების დაძლევაში, პარალელურად კი ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; მასწავლებლის შემთხვევაში - კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მიზნად ისახავს მასწავლებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებას.
კათედრის დონეზე თანამშრობლობის მხრივ აღსანიშნავია, რომ პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **„მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინსტრუმენტებისა (წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური ტესტები) და ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანს სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს.

**ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 სასწავლო წლის).
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს შეფასების მრავალფეროვნება, საგნობრივი კათედრების ოქმებში ფიქსირდება თუ როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გამოყენება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება კათედრის სხდომებზე. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეების სააზროვნო უნარების განვითარებას. შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე და სანდო. ამ ეტაპზე სკოლას შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზეც. სკოლა გეგმავს შექმნას და გამოიყენოს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებიც.

**ინდიკატორი 2.3.2. 1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარი - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. მასწავლებლებს აქვთ დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. პედაგოგებთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. მოსწავლეებზე დაკვირვება ხდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ შესწავლა.

**ინდიკატორი 2.3.2. 2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**3. „შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები“;**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების მიმართ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ შეფასებისას გამოიყენება მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთები, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გამოკითხვა, თვითშეფასება, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება და სხვა. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს.

**ინდიკატორი 2.3.2.3.. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4. „შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით“.**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის აკადემიური დონე და განვითარების დინამიკა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და იმუშავებენ სასკოლო კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შმუშავებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით.

**ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

შეფასება:

- ■ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“ .**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და მიგნებებს. სკოლას აქვს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავების გამოცდილება მიმდინარე ან წინა სასწავლო წლის სასწავლო პროცესების შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნულ რეკომენდაციებს სკოლა ითვალისწინებს როგორც მოდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის, ასევე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში, რამაც ხელი შეუწყო სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისათვის საჭირო დოკუმენტაციებისა და მასალების სრულყოფასა და მიზნობრივად გამოყენებას. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების გათალისწინებით შემუშავდა ახალი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.

**ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. **„კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ - გაწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად, სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში
ყურადღება მახვილდება იმაზე თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესები (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- მასწავლებლის პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოვლენილი პრობელების გადასაჭრელად;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის.

**ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დანართი N 180 დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დანართი N175 სასკოლო-კურიკულუმის-შემუშავების-მეთოდოლოგია;*
- *დანართი N189 შიდა ხარისხის კონცეფცია - მონიტორინგი და შეფასება;*
- *დანართი N12 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია საჯარო 213;*
- *დანართი N 0187 ბრძანება N 2-48 ხარისხის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;*
- *დანართი N56 ხარისხის-მექანიზმი;*
- *დანართი N 027 კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *დანართი N 14 სამეურვეოს საბჭოს ოქმი N1 24,,6,22;*
- *დანართი N49 მათემატიკის ისტის კათედრის ოქმი N13;*
- *დანართი N187 სსგ გადახედვის და გაუმჯობესების მექანიზმები;*
- *დანართი N189 შიდა ხარისხის კონცეფცია - მონიტორინგი და შეფასება;*
- *დანართი N198 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | *რჩევა* |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.1.1* | *„კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“* | *რჩევა 1*<br>მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები. |
| ინდიკატორი 2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა დ განვითარების გზას“ | *რჩევა 1.*<br>*სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიეთითოს ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.*<br>*რჩევა 2.*<br>*საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულოა თემის დასახელება მოცემული იყოს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.*<br>*რჩევა 3.*<br>*საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა ცნება, გეოგრაფიაში ყველა თემაში აისახოს შესასწავლი საკითხები.* |
| ინდიკატორი 2.2.2.1. | „სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“ | *რჩევა 1.*<br>*ბიოლოგია, VII კლასი, თემა „მიკროორგანიზმები“ კურიკულუმში დაზუსტდეს საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით .* |

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი -**<br>(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2. **,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, თვითშეფასების ფორმა, საგნობრივი კურიკულუმები) დაყრდნობით, ასევე, სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.

კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იაზრებენ სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის, მათ შორის კომპლექსური დავალების დაგეგმვისას. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალების შესრულებისას მიმდინარეობს დაკვირვება მოსწავლეების მიღწევებსა და შესაძლებლობებზე, შედეგების ანალიზი ხორციელდება შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით, რომელიც მუშავდება და მტკიცდება კათედრების მიერ, დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

აღსანიშნავია, რომ, მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პროცესებში ჩართულ მხარეებად მოაზრებულია მხოლოდ მასწავლებელი, კათედრის თავმჯდომარე, დირექცია და აღწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:**

- მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2. ,,**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლას აქვს სპეციალურად შემუშავებული კითხვარების გამოყენებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის პრაქტიკა, კითხვარების ანალიზის შედეგად ზუსტდება სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. სკოლაში არსებობს დამრიგებლის გეგმები და საბაზო საფეხურის კათედრის სამოქმედო გეგმა, რომელთა ანალიზის დროსაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს როგორც მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს, ისე მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს, რაც ასახულია მაგალითად, სამოქალაქო განათლების კლუბის ,,მაქსიმუმის" სამოქმედო გეგმის ფარგლებში (პროგრამა ,,მომავლის თაობის") მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებში, სკოლის მეწარმეობის საფუძვლების კლუბის Mini Shop-ის აქტივობებში და სხვა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. ,,**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი პროფესიული განვითარების მიზნით პერიოდულად ესწრებიან სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერ გარე ღონისძიებებს (ქოუჩინგს, ტრენინგებს, და სხვ), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კურიკულუმზე მუშაობის პროცესს.

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მოსწავლეებიც. როგორც მასწავლებელმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესის ფარგლებში შესრულებული დავალებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის აქტივობები და რესურსები, რომლებიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა, და შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მშობლებიც. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტით, სკოლის დირექტორის ბრძანებითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ჩართულობის აუცილებლობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“.

**ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4. „კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, სკოლის დირექტორთან, საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმების გაზიარების გამოცდილება - გაზიარება ხდება კათედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან - წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს სოციალური გვერდი Facebook-ზე (https://www.facebook.com/groups/1206581499849721), სადაც ქვეყნდება სასკოლო საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლის შენობის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საინფორმაციო დაფები, განვითარების პროცესშია სკოლის ოფიციალური ვებგვერდი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლისზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში*
- *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *დანართი 0174 მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა არაფორმალურ ღონისძიებებში*
- *საგუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი №5, 07.09.2023წ. და 2023-2024 ს.წ. სამოქმედო გეგმა*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2. **,,შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“**

სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადასაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც საკითხთა კლასტერს/ძირითად საკითხს უკავშირდება. იმ შემთხვევაში, თუ ძირითად საკითხზე გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების საშუალებით მუშაობა, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემასა და სამიზნე ცნებებთან ერთად, ფიქსირდება ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა ძირითადი კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ კურიკულუმებში სავალდებულო თემის დასახელება ყოველთვის არ არის მოცემული საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სტანდარტის შესაბამისად. ასევე, საბუნებისმეტყველო საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე რესურსების კომპონენტში კურიკულუმის ჩარჩო ვიდეო და ვირტუალური ექსპერიმენტებთან ერთად, აუცილებლად უნდა მოიცავდეს „ცოცხალი“ ცდების/ექსპერიმენტებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში დასაზუსტებელია სამიზნე ცნებებთან ქვეცნებების მიმართება, გასაუმჯობესებელია, ცალკეულ შემთხვევებში შერჩეული კონტექს-მაგალითები. ასევე მნიშვნელოვანია თემაში დამუშავდეს ყველა ცნება. გეოგრაფიაში - ყველა თემაში აისახოს შესასწავლი საკითხები.

სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების ორი კაბინეტ-ლაბორატორია, რომლებშიც წარმოდგენილია ექსპერიმენტების/პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო მასალები და მოწყობილობები - ქიმიური რეაქტივების და ჭურჭლის მინიმალური ნაკრები, ორგანოთა მულაჟების მდიდარი კოლექცია, ზოოლოგიური კოლექციები, ხელსაწყოები მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმში შესაბამისი თემების/საკითხების შესწავლისათვის საჭირო სკოლაში არსებული რესურსები დაფიქსირდეს.

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს სადემონსტრაციო-ლაბორატორიული ცდების/ექსპერიმენტების ჩატარების პრაქტიკაც, თუმცა ამ ეტაპზე კაბინეტებში არსებულ ონკანებს წყალი არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მიეწოდება, ქიმიის კაბინეტში არ არის გამწოვი კარადა, გასაახლებელია ქიმიური რეაქტივების, ასევე, ლაბორატორიული მოწყობილობების მარაგი.

მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ შუალედური სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მათ მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების, წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით. გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და პროექტებს, რაც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და მიღებული ცოდნა/გამოცდილების ერთიანობაში აღქმას უწყობს ხელს. შესაბამისად, „შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“.

**ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

***სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ,***

- ***რჩევა 1.***
  *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიეთითოს ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.*
- ***რჩევა 2.***
  *საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის ჩარჩოებში სავალდებულოა თემის დასახელება მოცემული იყოს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.*
- ***რჩევა 3.***
  *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა ცნება, გეოგრაფიაში ყველა თემაში აისახოს შესასწავლი საკითხები.*

2. **„კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). პედაგოგებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები კომპლექსური დავალებებისა და პროექტული აქტივობების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. მაგალითად, მეშვიდე კლასის, გერმანული ენის კურიკულუმში, ჯანმრთელობის თემასთან დაკავშირებული, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ როლური თამაში, რომელშიც მოსწავლეები მოირგებენ ექიმისა და პაციენტის როლებს. დავალების ფარგლებში მოსწავლეები ერთმანეთს მისცემენ რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს და რა პროცედურები ჩაიტაროს პაციენტმა საჭიროების შემთხვევაში. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ, მიემართება უცხო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ენების სავალდებულო თემატურ ჩარჩოს (მოვლენა-ავადმყოფობა), მეორეს მხრივ, კი ავითარებს ისეთ გლობალურ უნარებს როგორიცაა: თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა და ხასიათი/ნება.
მასწავლებლებთან გასაუბრების დროს ასევე იკვეთება, რომ მათ გააზრებული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, ამასთან ჩანს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია როგორც საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (მაგ., კვლევა) ფორმირებაზე. შესაბამისად „კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“

**ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **,,სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს“**
სსიპ სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაგეგმილია სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების აქტიურად დანერგვა და მათი მიზანმიმართული გამოყენება. კერძოდ, სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ისეთი კომპლექსური დავალებებისა და კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას დიფერენცირებულ-ინკლუზიური მიდგომით. ამის დასტურად, ინტერვიუს მსვლელობისას, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები - PP პრეზენტაციები, პოსტერები (როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით), მოდელები (მაგალითად, ქაღალდისგან დამზადებული თვითმფრინავის მოდელი, მაქსველის ქანქარას მოდელი), ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო დავალებების განხორციელების ეტაპები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.), რაც აჩვენებს, რომ მასწავლებლები იცნობენ და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ კურიკულუმის ადაპტირება. სკოლას ამჟამად ჰყავს ექვსი სსსმ მოსწავლე და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეების მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია, იძლევა საშუალებას დავასკვნათ - სკოლას გააზრებული აქვს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს განსხვავებული შესაძლებლობები და საჭიროებები, და შესაბამისად, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. ,,**განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მოქმედ კურიკულუმებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და სქემები ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, კერძოდ, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მოცემულ ნიმუშებში, შეფასების კრიტერიუმები საკითხსა და ქვესაკითხზე დაყრდნობით მიემართება სამიზნე ცნებებსა და სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, ამასთან გათვალისწინებულია თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ გააზრებული აქვთ, თუ რა მიდგომით ხდება რუბრიკების შემუშავება და სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს. ამასთან, სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ კურიკულუმით განსაზღვრული საკითხებისთვის/კომპლექსური დავალებებისთვის შესაბამისი შეფასების რუბრიკების შექმნას.

წარმოდგენილი მასალების, ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

**ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. ,,**დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. მათი თქმით, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად გამოიყენება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სხვადასხვა საგანში ჩატარებული, წლიური გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო წერის შედეგად მიღებული მონაცემები. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინტერესების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების საფუძველზე არჩევენ სასწავლო თემებს და კომპლექსური დავალების პირობებს, თუმცა ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. შესაბამისად „დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი“.

**ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სახელმწიფო ენის, ესთეტიკური კათედრის საგნობრივი კურიკულუმები*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები*
- *სახელმწიფო ენის, ესთეტიკური კათედრის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები (საბაზო საფეხური)*
- *თვითშეფასების დოკუმენტი (კითხვარი)*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები; სახელმწიფო ენა);*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (უცხო ენები).*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები*
- *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია)*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი №5, 07.09.2023წ.*

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

**4.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

6. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
7. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
8. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
9. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
10. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. „სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას“**

სსიპ სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული თემები აქტიური შემოქმედებითი სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა, რამდენადაც განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები, სასწავლო პროექტები და სხვა აქტივობები, მოსწავლეების მიერ მოსამზადებელი პროდუქტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალებისა და წინარე ცოდნის გააქტიურებას, რის დასტურადაც გადმოგზავნილი აქვს მოსწავლეების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების მასალები, მაგალითად:

- ფიზიკის კურიკულუმი (VII კლასი) - პროდუქტი - მრავალშრიანი კოქტეილი (კომპლექსური დავალების იდეა - წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გესტუმრნენ მეგობრები ლიეტუვიდან. თქვენ მათ ქართული ნაციონალური კერძებით უნდა გაუმასპინძლდეთ, მაგრამ გინდათ სუფრაზე იყოს მათი სამშობლოს რაიმე სიმბოლო - გადაწყვიტეთ, რომ მათი დროშა დაამზადოთ კოქტეილის სახით);
- ბიოლოგიის კურიკულუმი (VIII კლასი) - პროდუქტი - რჩევების წიგნი (კომპლექსური დავალების იდეა - რჩევების წიგნის შექმნა დაბალანსებული კვების შესახებ) ;
- უცხოური ენები - სხვადასხვა ტიპის პროდუქტები, როგორიცაა: პოსტერი, პრეზენტაცია, სამოგზაურო ალბომი, ტურისტული ბუკლეტი, წერილი, რულური თამაში და სხვა;
- სპორტი - სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და ფესტივალები;
- ესთეტიკური აღზრდა- კომპლექსური დავალების პროდუქტებით სკოლის სივრცეში მოწყობილი გამოფენები.

მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ სკოლას გააჩნია ცხოვრებისეული, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილების გამოცდილება, ასევე სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები - საგანმანათლებლო და ინტელექტუალური თამაშები, საგნობრივი კვირეულები, შემეცნებითი ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და უბიძგებს მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ, შესაბამისად, „სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას“.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**2. „ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, ინფორმაციის დამუშავებასა და ცოდნად გარდაქმნას მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახდენენ, რაც

განაპირობებს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას, კომპლექსური დავალებები კი ისეა ფორმულირებული რომ მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტებს, შესაბამისად, ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული დავალებებით, მასწავლებლების ფასილიტაციითა და უკუკავშირით მოსწავლეები აგებენ ახალ ცოდნას, აკეთებენ დასკვნებს და ქმნიან საინტერესო პროდუქტს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. შესაბამისად, ,,ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. **„სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი კი გულისხმობს მოსწავლის მხრიდან იმის გაანალიზებას, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება, გაიაზროს, რას ითხოვს მისგან დავალება, რა იცის საკითხის შესახებ და რისი შესწავლა დასჭირდება, რა სტრატეგიები გამოადგება მასალის (მაგ.ისტორიულ წყაროს) დამუშავება/ანალიზისათვის, როგორ უნდა ასახოს ნასწავლი პროდუქტში და წარმოადგინოს. ამ პროცესში მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესზე და გამოვლენილი გამოწვევები გაითვალისწინონ მომავალში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლის-სწავლას და რეფლექსიის, თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარებას.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ ისეთი სტრატეგიებს, (მაგალითად, შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და ა შ.), რომლებიც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ასევე აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებს ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა და არ შეუშინდნენ სირთულეებს, იფიქრონ პრობლემების მოგვარებაზე და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე.

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ კომპლექსურ დავალებაზე ან კომპლექსური ტიპის დავალებაზე მუშაობით როგორ შეუწყონ მოსწავლეებს ხელი სწავლის სტრატეგიების დაუფლებაში.

**ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

6. **„სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. შესაბამისად, შერჩეული დავალებების განხორციელებისათვის მოსწავლეს დასჭირდება, როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარები, ხოლო მასწავლებლების მხრიდან უკუკავშირებისა და თვითრეფლექსურობის წახალისება ხელს შეუწყობს ბავშვებს საკუთარი სასწავლო პროფილისა და შესაძლებლობების თვითგამორკვევის გზით მეტაკოგნიტური ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების დასტურია საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელთა განხორციელება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას.

*მაგალითი 1*- ბიოლოგიის VIII კლასის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების იდეა - რჩევების წიგნის შექმნა დაბალანსებული კვების შესახებ - საჭიროებს მუშაობას ცოდნის სამივე კატეგორიაზე: პრობლემის ფორმულირებას - რას ნიშნავს დაბალანსებული კვება, ფაქტების მოძიებას, მათ სისტემატიზაციას, შუალედური პროდუქტების - შედარების ცხრილების, დიაგრამების შექმნას, რჩევების დასაბუთებას რჩევების წიგნში შესატანად.

*მაგალითი 2*- მეშვიდე კლასის გერმანული ენის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება, მოიცავს როლურ თამაშს პაციენტსა და ექიმს შორის. მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა დაინახოს, თუ როგორ უკავშირდება ნასწავლი ცოდნა, ცხოვრებისეულ სიტუაციებს, კერძოდ, როგორ შეიძლება გერმანულ ენაზე რჩევები მისცეს ექიმმა პაციენტს.

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების გაცნობით, ასევე, ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მოსწავლეთა მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების პროდუქტების დათვალიერების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება. შესაბამისად „სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)“.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

7. **,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების წარმატებულ მცდელობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სასკოლო პროექტებიც, რომლებიც ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წინა წლებში კათედრაზე ჰქონდათ კლუბური მუშაობის გამოცდილება, სადაც კათედრებს შორის თანამშრომლობით ახორციელებდნენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ინტეგრირებულ პროექტებს, მაგალითად, „კომპოსტის მომზადება და სკოლის ეზოში კომპოსტის გამოყენებით საბურავებში ყვავილების კლუმბების მოწყობა“, ასევე, ინტეგრირებული გაკვეთილი გეოგრაფია-ბიოლოგიაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლების თქმით საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფორმალური აქტივობები (ინტეგრირებული პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, წრეები). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არსებული პრაქტიკა კვლავაც გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში. შესაბამისად, ,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება“.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *ესთეტიკური კათედრის საგნობრივი კურიკულუმები*
- *ესთეტიკური კათედრის განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები*
- *თვითშეფასების დოკუმენტი*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

2. **,,სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. აღნიშნულის განსახორციელებლად ისინი იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული დასტურდება მაგალითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც ჩანს, მასწავლებლების მიერ გააზრებულია დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, მათი მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები /ტერმინები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, ძირითადი საკითხი დაკავშირებულია კომპლექსური დავალების იდეასთან და რესურსებთან, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა საკითხები/ქვესაკითხები დაზუსტდეს სამიზნე ცნებასთან მიმართებით (მაგალითად, ბიოლოგია, VII კლასი, თემა „მიკროორგანიზმები“).

ასევე აღსანიშნავია სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებელთა პოზიციაც, რომლებიც გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ, რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საბაზო საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები (ცალკეულ შემთხვევებში გასაუმჯობესებელია კონტექსტ მაგალითები, დასაზუსტებელია ქვეცნებები). ამ პროცესისთვის მნიშვნელოვანია კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეფლექსია, რომლისათვისაც წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი ინსტრუმენტი. შესაბამისად, ,,სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“.

**ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

***სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- *რჩევა 1.*

  ბიოლოგია, VII კლასი, თემა „მიკროორგანიზმები“ კურიკულუმში *დაზუსტდეს საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით .*

2. **„საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას“**

სსიპ სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კერძოდ, სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მათ დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს უქმნის და სწავლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებას უყალიბებს.
მაგალითად: საბაზო საფეხურის, უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგ: სკოლა, მეგობრები, ყოველდღიური ცხოვრება, დღესასწაულები, ჯანმრთელობა, მოგზაურობა, ქალაქები, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, ფილმები, მუსიკა, ჯანმრთელი კვება, მოზარდების პრობლემები, ურთიერთობა მშობლებთან, სკოლის გარემო, ბულინგი, მოდა, ტანსაცმელი, გარეგნობა, სპორტი, მოგზაურობა, პროფესიები, სამსახურები, ცნობილი ადამიანები, გარემოსდაცვითი პრობლემები: ბუნებრივი კატასტროფები, დაბინძურება, საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველები, ნარჩენების გადამუშავება, და სხვა), რაც მოსწავლისთვის დაინტერესებისა და მოტივირების წინაპირობას წარმოადგენს. ეს ის თემებია, რომლებიც იმგვარად ეხმარება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რომ ენობრივი კომპეტენციის შეძენასთან ერთად, მის პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, უვითარებს მას ემპათიისა და სხვა კულტურის მიმართ პატივისცემის განცდას. შერჩეული კომპლექსური დავალებები, ასევე მეტწილად, მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან.

სკოლას ასევე აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით სასკოლო პროექტების განხორციელების გამოცდილება, სადაც თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევა სადამრიგებლო თემებიც (ჩემი მომავალი პროფესია, მინდა ვიყო წარმატებული, ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იმავე მიზანს ემსახურება არაფორმალური აქტივობები (ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მუზეუმებში, თეატრში, კინოში. შესაბამისად „საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **„შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოიაზრებს მოსწავლის მიერ ემოციების მართვას, სხვათა პოზიციების გათვალისწინებას, კონფლიქტური სიტუაციების მართვას, გუნდურობას და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღებას.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლის მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას და საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები შესაბამისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისთვის შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სავალდებულო თემის ძირითად საკითხებზე. როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს ეძლევათ კონსტრუქციული უკუკავშირი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და გამოკვეთილი საჭიროებების შესახებ, რაც მთლიანობაში ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე და ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. ამ მიმართულებით გეგმავენ მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ არაფორმალური აქტივობები. შესაბამისად, „შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე“.

**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის (გვ. 103) თანახმად, სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია შეფასება, რომელიც მოიაზრებს მოსწავლეთა განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის შეფასების რუბრიკები და სქემები ეფუძნება ესგ-ის პრინციპებს. შეფასების სისტემის ამოსავალი მახასიათებლებია ვალიდურობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა და სანდოობა. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანს ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სხვადასხვა ფორმა.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა საგანში დაგეგმილი სადიაგნოსტიკო წერები და წლიური გამოცდები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში ან იცნობენ ამ რუბრიკებს (გამჭვირვალობა), ხოლო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან (ვალიდურობა). შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.

**ინდიკატორი 2..2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

5. **„სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება - შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.
დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორი ან დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/პირები. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, ხოლო განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებბები და განსაზღვრონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. შესაბამისად „სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.

**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

6. **„სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება საქმეთამმართველთან. შესაბამისად „სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *საგაზო საფეხურის კურიკულუმები.*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები, სახელმწიფო ენა, საბუნებისმეტყველო საგნები).*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
5 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, ისიც რომ სკოლა აქვს მშობელთა გაკვეთილებზე დასწრების პრაქტიკაც. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, კათედრის წევრი პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, რაც გამოიხატება ურთიერთდასწრებასა და უკუკავშირის მიწოდებაში. სკოლა საბაზო საფეხურზე ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოება ერთობლივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სკოლაში თითოეული მოსწავლე აღიარებული და დაფასებულია და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე. შესაბამისად „სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო“ .

**ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

2. „სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად“

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები - ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, დიაგნოსტიკური წერები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შესასწავლი თემების, საკითხების თანმიმდევრობა ემსახურება ცოდნის ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისაკენ ზრდას. მოსწავლეთა შეფასებები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მიეწოდებათ ისე, რომ ჩანდეს შესრულებული სამუშაოს დადებითი და გამოსასწორებელი მხარეები. შესაბამისად „სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად“.

**ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. „სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას“

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის რეჟიმში ხდება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

**ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. „უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე“

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბების მიზნით კურიკულუმის შექმნისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

განვითარების პროცესში აქტიურად  თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას, ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების  ჩართულობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია  მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების  მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე. შესაბამისად, ,,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე“ .

**ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად  არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის ჩარჩოები;*
- *განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სსსმ მოსწავლის ისგ.*

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესის წინაპირობაა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს, ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო დაგეგმვაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში, კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტებად გათვალისწინებულია წლიური გამოცდები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს - გეოგრაფია -VII, მათემატიკა- VIII, ინგლისური ენა- IX, ისტორია- X, ხოლო ინგლისური ენა- XI კლასებში) და სადიაგნოსტიკო წერები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს-მათემატიკა - V და VI კლასი, ქართული ენა და ლიტერატურა- VII კლასი, ხოლო ინგლისური ენა VIII და IX კლასებში), რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნის დონის დიაგნოსტირებას, პრობლემის აღმოჩენასა და გასაუმჯობესებელი გზების ძიებას.

ვიზიტის დროს, აღინიშნა, რომ კურიკულუმის დანრეგვის მონიტორინგი და შეფასება ასევე ხორცილდება ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფისა და კათედრის წევრების მიერ გაკვეთილებზე დასწრების გზით. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების საფუძველზე. შესაბამისად „მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად“.

**ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას იმ გამოწვევების დაძლევაში, რომლებიც კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში წარმოიქმნება. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გამოყენებულია როგორც სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, სკოლა- როგორც ინსტიტუცია) მხარდამჭერი მექანიზმი. მოსწავლის შემთხვევაში - პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მასთან, კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების დაძლევაში, პარალელურად კი ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში; მასწავლებლის შემთხვევაში - კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

კათედრის დონეზე თანამშრომლობის მხრივ აღსანიშნავია, რომ პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. შესაბამისად ,,მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას“.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. ,,მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინსტრუმენტებისა (წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური ტესტები) და ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანს სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს. შესაბამისად, ,,მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას“.

**ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს შეფასების მრავალფეროვნება, საგნობრივი კათედრების ოქმებში ფიქსირდება თუ როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გამოყენება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება კათედრის სხდომებზე. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეების სააზროვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეების სააზროვნო უნარების განვითარებას. შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე და სანდო. ამ ეტაპზე სკოლას შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზეც. სკოლა გეგმავს შექმნას და გამოიყენოს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებიც. შესაბამისად „შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს“.

**ინდიკატორი 2.3.2. 1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარი - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. მასწავლებლებს აქვთ დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. პედაგოგებთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. მოსწავლეებზე დაკვირვება ხდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ შესწავლა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. შესაბამისად, ,,შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 2.3.2. 2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. „შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები“;**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების მიმართ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ შეფასებისას გამოიყენება მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთები, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გამოკითხვა, თვითშეფასება, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება და სხვა. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. შესაბამისად „შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები“.

**ინდიკატორი 2.3.2.3.. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4. „შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით“.**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის აკადემიური დონე და განვითარების დინამიკა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და იმუშავებენ სასკოლო კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შმუშავებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. შესაბამისად, „შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით“.

**ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კათედრების ოქმები;*
- *მოსწავლის ისგ გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების კრიტერიუმები.*

შეფასება:

**[x] შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“ .**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და მიგნებებს. სკოლას აქვს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავების გამოცდილება მიმდინარე ან წინა სასწავლო წლის სასწავლო პროცესების შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნულ რეკომენდაციებს სკოლა ითვალისწინებს როგორც მოდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის, ასევე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში, რამაც ხელი შეუწყო სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისათვის საჭირო დოკუმენტაციებისა და მასალების სრულყოფასა და მიზნობრივად გამოყენებას. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

გათალისწინებით შემუშავდა ახალი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. ამდენად, სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით - ,,იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“

**ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **,,კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ - გაწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად, სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ყურადღება მახვილდება იმაზე თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესები (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- მასწავლებლის პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოვლენილი პრობელების გადასაჭრელად;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის.

შესაბამისად, ,,კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს“.

**ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დანართი N192 მათემატიკის კურიკულუმები საბაზო საფეხური;*
- *დანართი N175 სასკოლო-კურიკულუმის-შემუშავების-მეთოდოლოგია;*
- *დანართი N189 შიდა ხარისხის კონცეფცია - მონიტორინგი და შეფასება;*
- *დანართი N12 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია საჯარო 213;*
- *დანართი N 0187 ბრძანება N 2-48 ხარისხის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;*
- *დანართი N56 ხარისხის-მექანიზმი;*
- *დანართი N 027 კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *დანართი N 14 სამეურვეოს საბჭოს ოქმი N1 24,,6,22;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- *დანართი N49 მათემატიკის ისტის კათედრის ოქმი N13;*
- *დანართი N187 სსგ გადახედვის და გაუმჯობესების მექანიზმები;*
- *დანართი N189 შიდა ხარისხის კონცეფცია - მონიტორინგი და შეფასება;*
- *დანართი N198 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

.....
.....

.....
თარიღი

VI. რჩევა

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.1.1* | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას | ➢ *რჩევა 1*<br>*მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| | | |
|---|---|---|
| | | |
| ინდიკატორი 2.1.2.1 | ,,შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | ➢ *რჩევა 1*<br>*საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიეთითოს ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.* |
| ინდიკატორი 2.1.2.4 | სპორტის შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით. | ➢ *რჩევა 2*<br>*სპორტის შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.* |
| ინდიკატორი 2.2.2.1. | | ➢ *რჩევა 1*<br>*ფიზიკის X კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით .*<br>➢ *რჩევა 2*<br>*გეორაფიის XI კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მნიშვნელოვანია ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები, გასაუმჯობესებელია კონტექსტ მაგალითები (XI კლასი - გეოგრაფია ).* |

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი -**<br>(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
**2.1. კურიკულუმის შემუშავება**
**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

3. **,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე (კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი, თვითშეფასების ფორმა, საგნობრივი კურიკულუმები) დაყრდნობით, ასევე, სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას.
კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იაზრებენ სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის, მათ შორის კომპლექსური დავალების დაგეგმვისას. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით, კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალების შესრულებისას მიმდინარეობს დაკვირვება მოსწავლეების მიღწევებსა და შესაძლებლობებზე, შედეგების ანალიზი ხორციელდება შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით, რომელიც მუშავდება და მტკიცდება კათედრების მიერ, დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.
აღსანიშნავია, რომ, მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, პროცესებში ჩართულ მხარეებად მოაზრებულია მხოლოდ მასწავლებელი, კათედრის თავმჯდომარე, დირექცია და აღწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- მიზანშეწონილია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ფუნქცია-მოვალეობები და ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ინდიკატორი 2.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. ,,**კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლას აქვს სპეციალურად შემუშავებული კითხვარების გამოყენებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის პრაქტიკა, კითხვარების ანალიზის შედეგად ზუსტდება სასკოლო საზოგადოების საჭიროებები. სკოლაში არსებობს დამრიგებლის გეგმები და საშუალო საფეხურის კათედრის სამოქმედო გეგმა, რომელთა ანალიზის დროსაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს როგორც მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებს, ისე მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს, რაც ასახულია მაგალითად, სამოქალაქო განათლების კლუბის ,,მაქსიმუმის" სამოქმედო გეგმის ფარგლებში (პროგრამა ,,მომავლის თაობის") მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებში, სკოლის მეწარმეობის საფუძვლების კლუბის Mini Shop-ის აქტივობებში და სხვა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

**ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. ,,**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“**

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი პროფესიული განვითარების მიზნით პერიოდულად ესწრებიან სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერ გარე ღონისძიებებს (ქოუჩინგს, ტრენინგებს, და სხვ), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კურიკულუმზე მუშაობის პროცესს.

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მოსწავლეებიც. როგორც მასწავლებელმა აღნიშნეს, სასწავლო პროცესის ფარგლებში შესრულებული დავალებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის აქტივობები და რესურსები, რომლებიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა, და შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მშობლებიც. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტით, სკოლის დირექტორის ბრძანებითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“.

**ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. ,,**კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სსიპ ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები, სკოლის დირექტორთან, საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლას აქვს სასკოლო კურიკულუმების გაზიარების გამოცდილება - გაზიარება ხდება კათედრებსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან - წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს სოციალური გვერდი Facebook-ზე (https://www.facebook.com/groups/1206581499849721), სადაც ქვეყნდება სასკოლო საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლის შენობის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საინფორმაციო დაფები, განვითარების პროცესშია სკოლის ოფიციალური ვებგვერდი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი 2.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში*
- *სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *დანართი 0174 მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა არაფორმალურ ღონისძიებებში*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი №5, 07.09.2023წ. და 2023-2024 ს.წ. სამოქმედო გეგმა*

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

3. **„შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. სხვადასხვა საგნის კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების იდეები, მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები და საკვანძო შეკითხვები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობების გააქტიურებასა და გამოვლენა/განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ხოლო სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც საკითხთა კლასტერს/ძირითად საკითხს უკავშირდება. აღნიშნულ კურიკულუმებში ძირითადი რესურსის სახით წარმოდგენილია როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, Ck-12 საგანმანათლებლო პლატფორმა, ვირტუალური ლაბორატორიები (phet.colorado), სხვა ინტერნეტ-რესურსები.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, განსაკუთრებით კომპლექსური დავალების შემთხვევაში, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია პრაქტიკული სადემონსტრაციო/ლაბორატორიული ცდების რესურსები - ცდის დასახელება, მოწყობილობები და მასალები (კარგი პრაქტიკა), თუმცა, საგნობრივი კურიკულუმების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ მიდგომას არ აქვს ადგილი ყველა კლასის კურიკულუმის/კლასის ფარგლებში შესასწავლი ყველა სავალდებულო თემის შემთხვევაში. აქვე აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესი ვიდეო და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს, „ცოცხალი“ ცდების/ექსპერიმენტების მითითებასაც.

სსიპ - ქალაქ თბილისის №213 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო საგნების ორი კაბინეტი-ლაბორატორია, რომლებშიც წარმოდგენილია ექსპერიმენტების/პრატიკული სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო მასალები და მოწყობილობები. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს სადემონსტრაციო-ლაბორატორიული ცდების/ექსპერიმენტების ჩატარების პრაქტიკა, თუმცა ამ ეტაპზე კაბინეტებში არსებულ ონკანებს წყალი არ მიეწოდება, ქიმიის კაბინეტში არ არის გამწოვი კარადა, გასაახლებელია ქიმიური რეაქტივების, ასევე, ლაბორატორიული მოწყობილობების მარაგი. შესაბამისად, „შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას“.

**ინდიკატორი 2.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული .**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

***სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, რჩევა 1.*** *საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიეთითოს ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები.*

2. **„კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი თემების, სამიზნე ცნებებისა და კომპლექსური დავალების მიხედვით იკვეთება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარია სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში. ამასთან, პედაგოგებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები კომპლექსური დავალებებისა და პროექტული აქტივობების საშუალებით უზრუნველყოფენ მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. მაგალითად, მეთერთმეტე კლასის, გერმანული ენის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სტატიის მომზადება სასკოლო გაზეთისთვის, რითაც მკითხველს გააცნობენ მედიის ზეგავლენას ახალგაზრდობის ყოფით ცხოვრებაზე. მოცემული კომპლექსური დავალება ავითარებს ისეთ გლობალურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკულ აზროვნება, შემოქმედებითი მიდგომა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ხასიათი/ნება. მეათე კლასის რუსული ენის კურიკულუმში სასწავლო თემის „საზოგადოებაში ცხოვრება - პროფესიული არჩევანი“ ფარგლებში დაგეგმილი კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ გამოკითხვის ჩატარება, თუ რა პროფესიებს ირჩევენ ახალგაზრდები და რა არის ამის განმაპირობებელი ფაქტორები. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ, მიემართება უცხო ენების სავალდებულო თემატურ ჩარჩოს, მეორეს მხრივ, კი ავითარებს კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და კრიტიკულ აზროვნების უნარ-ჩვევებს. შესაბამისად „კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“.

**ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **,,სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა ყურადღებას აქცევს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებას, კერძოდ, სასწავლო პროცესის დიფერენცირებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები და კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ვიზიტის დროს, სხვადასხვა საგნის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებული მიდგომის მეთოდებს, მაგ: მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით ამარტივებენ კომპლექსური დავალების პირობებს და უსადაგებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ამასთან,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

კომპლექსური დავალების პირობები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ მოსწავლეებს აძლევს ალტერნატივას, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეარჩიონ დავალების სასურველი ფორმა.
დიფერენცირებული მიდგომის მიმართულებით არსებული პრაქტიკის დასადასტურებლად, სკოლას წარმოდგენილი აქვს მეათე კლასის ინგლისური ენის დავალებები, რომლებიც გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეზე. ასევე, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ იქნა მოსწავლეთა ნამუშევრები - PP პრეზენტაციები, პოსტერები (როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით), მოდელები, ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო დავალებების განხორციელების ეტაპები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.), რაც აჩვენებს, რომ მასწავლებლები იცნობენ და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.
საგულისხმოა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები; ეს ყოველივე ადასტურებს, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

**ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **,,განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო-სასწავლო გეგმით ირკვევა, რომ სკოლა 2023–2024 სასწავლო წელს ირჩევს შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს საშუალო საფეხურზე მოსწავლეების შეფასებას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასებისას ძირითადად იყენებენ ზეპირ უკუკავშირს, გასასვლელ, შესასვლელ ბილეთებს და სხვა.
სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებშიც კარგად არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებს (უცხო ენების მაგალითზე - ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი), მკვიდრ წარმოდგენებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის. წარმოდგენილი რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება რომ შეფასება აწარმოოს სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებით. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასებას განმავითარებელი შეფასებით, რაც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებულია სხვადასხვა აქტივობის (დისკუსიის, პრეზენტაციის, ინფორმაციის მოძიების და ა.შ.) ზოგადი შეფასების სქემები, თუმცა პედაგოგები ძირითადად კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების სქემებით ხელმძღვანელობენ. წარმოდგენილი მასალების, ასევე, საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

**ინდიკატორი 2.1.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

*სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევა, რომელიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ,*

- *სპორტის შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.*

**6. „დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას. მათი თქმით, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში აქტიურად გამოიყენება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სხვადასხვა საგანში ჩატარებული, წლიური გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო წერის შედეგად მიღებული მონაცემები. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინტერესების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების საფუძველზე არჩევენ სასწავლო თემებს და კომპლექსური დავალების პირობებს, თუმცა ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. შესაბამისად „დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი“.

**ინდიკატორი 2.1.2.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
3. *კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები (X-XII კლასები);*
4. *საშუალო საფეხურის კურიკულუმები.*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წწ.).*
6. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები); (საზოგადოებრივი მეცნიერებები), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

7. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (უცხო ენები).*
8. *დიფერენცირებული ტესტი უცხო ენაში.*

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**7.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

11. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
12. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
13. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
14. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
15. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. „სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული თემები აქტიური შემოქმედებითი სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა, რამდენადაც განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები, სასწავლო პროექტები და სხვა აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალებისა და წინარე ცოდნის გააქტიურებას. გარდა ამისა, მასწავლებლების მიერ შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები ითვალისწინებს ისეთი მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას როგორიცაა, პოსტერები, პრეზენტაციები, გამოკითხვა, მონოლოგი, მეგობრული წერილი, სტატია გაზეთისთვის და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გააჩნია ცხოვრებისეული, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილების გამოცდილება, რის დასტურადაც გადმოგზავნილი აქვს მოსწავლეების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების ნამუშევრები. მაგალითად, სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით, ინგლისურ ენაში, მეათე კლასის მოსწავლეებს დამზადებული აქვთ მრავალი პროდუქტის რეკლამა, როგორებიცაა ტანსაცმლის,

ტექნიკის, ავტო სახელოსნოების, კოსმეტიკური საშუალებების სარეკლამო პოსტერები და ვიდეორგოლები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლაში დამკვიდრებული კომპლექსური ტიპის დავალებებით სწავლების პრაქტიკა, იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობები - საგანმანათლებლო და ინტელექტუალური თამაშები, საგნობრივი კვირეულები, შემეცნებითი ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და უბიძგებს მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისკენ, შესაბამისად, „სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას“.

**ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, ინფორმაციის დამუშავებასა და ცოდნად გარდაქმნას მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახდენენ, რაც განაპირობებს მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას, კომპლექსური დავალებები კი ისეა ფორმულირებული რომ მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ კონტექსტებს, შესაბამისად, ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული დავალებებით, მასწავლებლების ფასილიტაციითა და უკუკავშირით მოსწავლეები აგებენ ახალ ცოდნას, აკეთებენ დასკვნებს და ქმნიან საინტერესო პროდუქტს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელებისას მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ მასალასთან კავშირის დამყარებაში, რისთვისაც საკითხის დამუშავებამდე მასწავლებელი არჩევს საინტერესო, მიზნობრივ რესურსებს, სხვადასხვა ინსტრუმენტით/მეთოდით/აქტივობით ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა იმ საკითხის შესახებ, რომლის ახსნასაც აპირებს და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ნაცნობი კონტექსტების, გამოცდილების გათვალისწინებით, აწვდის ახალ მასალას, შესაბამისად, ,,ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

**ინდიკატორი 2.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

8. **„სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებში მკაფიოდ ჩანს, რომ დავალებაზე მუშაობის პროცესში, მოსწავლე პასუხობს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ

ფაქტორებს და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში რეფლექსიისა და თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარებას.
ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციდან (პორთფოლიოები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რომლის მიზანია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი კომპეტენციები და ღირებულებები. პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება, დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა, სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება, განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა, იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება, რისთვისაც წახალისებულია მოსწავლეთა მიერ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა. შესაბამისად „სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე“.

**ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

9. **„სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე კი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. შესაბამისად, შერჩეული დავალებების განხორციელებისათვის მოსწავლეს დასჭირდება, როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარები, ხოლო მასწავლებლების მხრიდან უკუკავშირებისა და თვითრეფლექსურობის წახალისება ხელს შეუწყობს ბავშვებს საკუთარი სასწავლო პროფილისა და შესაძლებლობების თვითგამორკვევის გზით მეტაკოგნიტური ცნობიერების ჩამოყალიბებაში.
სასწავლო პროცესის ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების დასტურია საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები, რომელთა განხორციელება გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას. მაგალითისათვის, მე-11 კლასში ქიმიის სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური დავალების „საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით წყლის სიხისტის მიზეზებსა და პრევენციაზე მსჯელობა“ განხორციელება საჭიროებს მუშაობას ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, წყლის სიხისტის მიზეზების დადგენას, მათ დაჯგუფებას, ცდის ჩატარებას, მონაცემების შეგროვებას, სიხისტის აცილების გზების ჩვენებას. საბოლოო პროდუქტის - საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა ასევე ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას. შესაბამისად „სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)“.

**ინდიკატორი 2.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

10. **,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება“**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან, თვითშეფასების დოკუმენტიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები ცხადად მიუთითებს ცოდნათა ორგანიზებული ურთიერთდაკავშირების წარმატებულ მცდელობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სასკოლო პროექტებიც, რომლებიც ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წინა წლებში კათედრაზე ჰქონდათ კლუბური მუშაობის გამოცდილება, ახორციელებდნენ ინტეგრირებულ პროექტებს, მაგალითად, „კომპოსტის მომზადება და სკოლის ეზოში კომპოსტის გამოყენებით საბურავებში ყვავილების კლუმბების მოწყობა“, ასევე, ინტეგრირებული გაკვეთილები (მასალებში წარმოდგენილია X კლასში ქიმიის გაკვეთილის ნიმუში „ქიმიური რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები“, სადაც მოცემულია ინტეგრაცია ბიოლოგიასთან - ფერმენტების საკითხის ჩართვა კატალიზატორის ფაქტორის განხილვისას).

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლების თქმით საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე არაფორმალური აქტივობები (ინტეგრირებული პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, წრეები). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არსებული პრაქტიკა კვლავაც გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში. შესაბამისად, ,,სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება“.

**ინდიკატორი 2.2.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
2. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
3. შეფასების რუბრიკები
4. წრეები და პროექტები
5. შეფასების რუბრიკები;
6. კომპლექსური დავალების ნაშრომები (უცხო ენები);

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

13. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
14. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
15. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
16. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
17. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
18. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

3. **„სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. აღნიშნულის განსახორციელებლად ისინი იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. შესაბამისად, სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული დასტურდება მაგალითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც ჩანს, რომ მასწავლებლების მიერ გააზრებულია დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, მათი მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები /ტერმინები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და საკითხთან კავშირში, კომპლექსური დავალების იდეები და რესურსები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასაზუსტებელია საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით (მაგალითისათვის, იხ. ფიზიკა, X კლასის კურიკულუმი).

ასევე აღსანიშნავია სახელმწიფო ენის კათედრის მასწავლებელთა პოზიციაც, რომლებიც გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე.

კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები ძირითადად შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები (გასაუმჯობესებელია კონტექსტ მაგალითები XI კლასი გეოგრაფია).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

შესაბამისად, ,,სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით“.

**ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

***სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლას მიეცა რჩევები, რომლებიც შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:***

- *ფიზიკის X კლასის კურიკულუმში დაზუსტდეს საკითხები და ქვესაკითხები სამიზნე ცნებასთან მიმართებით ;*

- *გეორაფიის XI კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მნიშვნელოვანია ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები, გასაუმჯობესებელია კონტექსტ მაგალითები (XI კლ.გეოგრაფია ).*

2. **„საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას“**

სსიპ - ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კერძოდ, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ არის რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მათ დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს უქმნის და სწავლის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებას უყალიბებს. მაგალითად: საშუალო საფეხურის, უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (სასკოლო განათლება; პროფესიები; ცვალებადი სამყარო - ტექნოლოგიები; რეკლამების ზეგავლენა ჩვენს ცხოვრებაზე; მოგზაურობა; მედიის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე; პიროვნული თვისებები, ურთიერთობები, მოდა, ტანსაცმელი; ჯანრთელ სახეულში ჯანმრთელი სულია; მავნე ჩვევები და დამოკიდებულებები; მუსიკა და ტრადიციები; მოვუფრთხილდეთ ბუნებრივ გარემოს; ეკოლოგიის პრობლემები; ადამიანები და ცხოველები; მიუსაფარი ბავშვები და სხვა), რაც მოსწავლისთვის დაინტერესებისა და მოტივირების წინაპირობას წარმოადგენს. მაგ: გარემოსდაცვითი პრობლემები, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ურთიერთობების მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, მიუსაფარი ბავშვების პრობლემები და სხვა, ეს ის თემებია, რომლებიც იმგვარად ეხმარება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რომ ენობრივი კომპეტენციის შეძენასთან ერთად, მის პასუხისმგებლიან მოქალაქედ ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, უვითარებს მას ემპათიისა და სხვა კულტურის მიმართ პატივისცემის განცდას. შერჩეული კომპლექსური დავალებები, ასევე მეტწილად, მოსწავლის პიროვნულ განვითარებას მიემართება, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ემოციები, მართონ საკუთარი თავი, შეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან, სადაც უწევთ მოქმედება და ურთიერთობა თანატოლებთან.

სკოლას ასევე აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით სასკოლო პროექტების განხორციელების გამოცდილება, სადაც თემატიკის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ირჩევა სადამრიგებლო თემებიც (კონფლიქტების მართვა, ემპათია, დისკრიმინაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სხვა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

საშუალო საფეხურზე ყურადღება ექცევა პროფესიული განათლების მიმართულებით მოსწავლეთა ინფორმირებას, USAID -ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი ,,პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება". კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. შესაბამისად „საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას".

**ინდიკატორი 2.2.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **„შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე"**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლის მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას და საშუალო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები შესაბამისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისთვის შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სავალდებულო თემის ძირითად საკითხებზე. როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს ეძლევათ კონსტრუქციული უკუკავშირი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და გამოკვეთილი საჭიროებების შესახებ, რაც მთლიანობაში ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე და ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. ამ მიმართულებით გეგმავენ მომავალშიც აქტიურად გამოიყენონ არაფორმალური აქტივობები. შესაბამისად, „შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე".

**ინდიკატორი 2.2.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

4. **„შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი"**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. ვალიდურობის უპირველეს ინსტრუმენტებად სკოლის მიერ დასახელებულია სწავლა სწავლების შეფასების ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე. აღნიშნულის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებისთვის შემუშავებული განმავითარებელი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე. კრიტერიუმები არის მკაფიო და გაზომავდი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სხვადასხვა საგანში დაგეგმილი სადიაგნოსტიკო წერა და წლიური გამოცდები ) საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში ან იცნობენ ამ რუბრიკებს და იციან რა კრიტერიუმებით ფასდება მათი სასწავლო აქტივობა. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. შესაბამისად, „შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი“.

**ინდიკატორი 2..2.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**5. „სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება - შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალებას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.
დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია დირექტორი ან დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/პირები. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, ხოლო განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა გამოავლინონ გასაუმჯობესებელი მიმართულებბები და განსაზღვრონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. შესაბამისად „სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“.

**ინდიკატორი 2.2.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**6. „სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება საქმეთამმართველთან. შესაბამისად „სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით“.

**ინდიკატორი 2.2.2.6. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *საშუალო საფეხურის კურიკულემები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების რუბრიკები (უცხო ენები);*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, ისიც რომ სკოლა აქვს მშობელთა გაკვეთილებზე დასწრების პრაქტიკაც. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, კათედრის წევრი პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს, რაც გამოიხატება ურთიერთდასწრებასა და უკუკავშირის მიწოდებაში. სკოლა საშუალო საფეხურზე ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოება ერთობლივად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე, სკოლაში თითოეული მოსწავლე აღიარებული და დაფასებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

და სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებაზე. შესაბამისად „სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო“ .

**ინდიკატორი 2.2.3.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები - ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, დიაგნოსტიკური წერები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები. შესასწავლი თემების, საკითხების თანმიმდევრობა ემსახურება ცოდნის ეტაპობრივად, მარტივიდან რთულისაკენ ზრდას. მოსწავლეთა შეფასებები მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მიეწოდებათ ისე, რომ ჩანდეს შესრულებული სამუშაოს დადებითი და გამოსასწორებელი მხარეები. შესაბამისად „სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად“.

**ინდიკატორი 2.2.3.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **„სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება, კათედრის წევრებს შორის უკუკავშირი. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა/კათედრები ქმნიან სასკოლო/საგნობრივ კურიკულუმებს, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართულია როგორც დირექცია, ასევე პედაგოგები და მშობლები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია ჩართულ მხარეთა ფუნქცია-მოვალეობებიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება სასკოლო საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის რეჟიმში ხდება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

**ინდიკატორი 2.2.3.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. **„უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის, სადაც შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების წევრები პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის ჩამოყალიბების მიზნით კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას, ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მასწავლებელი, რომელიც პატივისცემასა და მზრუნველობას ამჟღავნებს მოსწავლეების მიმართ. მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიტიური ურთიერთობა კი დადებით გავლენას ახდენს კლასის მართვის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, ემოციურ სტაბილურობასა და მოსწრებაზე. შესაბამისად, ,,უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე“ .

**ინდიკატორი 2.2.3.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის ჩარჩოები;*
- *განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სსსმ მოსწავლის ისგ.*

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
**9.** მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესის წინაპირობაა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს, ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო დაგეგმვაზე.
სასკოლო სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში, კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტებად გათვალისწინებულია წლიური გამოცდები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს - გეოგრაფია -VII, მათემატიკა- VIII, ინგლისური ენა- IX, ისტორია- X, ხოლო ინგლისური ენა- XI კლასებში) და სადიაგნოსტიკო წერები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს-მათემატიკა - V და VI კლასი, ქართული ენა და ლიტერატურა- VII კლასი, ხოლო ინგლისური ენა VIII და IX კლასებში), რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნის დონის დიაგნოსტირებას, პრობლემის აღმოჩენასა და გასაუმჯობესებელი გზების ძიებას.
ვიზიტის დროს, აღინიშნა, რომ კურიკულუმის დანრეგვის მონიტორინგი და შეფასება ასევე ხორცილდება ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფისა და კათედრის წევრების მიერ გაკვეთილებზე დასწრების გზით. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების საფუძველზე. შესაბამისად „მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად“.

**ინდიკატორი 2.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **„მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას იმ გამოწვევების დაძლევაში, რომლებიც კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში წარმოიქმნება. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გამოყენებულია როგორც სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, სკოლა- როგორც ინსტიტუცია) მხარდამჭერი მექანიზმი. მოსწავლის შემთხვევაში - პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მასთან, კლასის ყველა მოსწავლეს ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნების დაძლევაში, პარალელურად კი ინიშნავს აქტივობებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

კონსტრუირების პროცესში; მასწავლებლის შემთხვევაში - კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი მიზნად ისახავს მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებას.
კათედრის დონეზე თანამშრობლობის მხრივ აღსანიშნავია, რომ პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. შესაბამისად ,,მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას“.

**ინდიკატორი 2.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

3. **,,მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინსტრუმენტებისა (წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური ტესტები) და ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანს სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს. შესაბამისად, ,,მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას“.

**ინდიკატორი 2.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

9. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
10. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
11. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
12. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს“**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს შეფასების მრავალფეროვნება, საგნობრივი კათედრების ოქმებში ფიქსირდება თუ როგორ ხდება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და გამოყენება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება კათედრის სხდომებზე. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. თითოეულ დავალებას მასწავლებელი ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აგრეთვე ითვალისწინებს მოსწავლეების საარზოვნო უნარებს, განვითარების დონეს და მათ ინტერესს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეების საარზოვნო უნარების განვითარებას. შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე და სანდო. ამ ეტაპზე სკოლას შექმნილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზეც. სკოლა გეგმავს შექმნას და გამოიყენოს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებიც. შესაბამისად „შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს“.

**ინდიკატორი 2.3.2. 1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.**

სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. ეს საშუალებას იძლევა მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასებისას გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარი - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. მასწავლებლებს აქვთ დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. პედაგოგებთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. მოსწავლეებზე დაკვირვება ხდება როგორც სასკოლო, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს, რათა მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ შესწავლა. მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. შესაბამისად, ,,შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით".

**ინდიკატორი 2.3.2. 2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**3. „შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები";**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების მიმართ. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ შეფასებისას გამოიყენება მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთები, მოსწავლის შეფასებების შედეგების ანალიზი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, დამოუკიდებელი მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გამოკითხვა, თვითშეფასება, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება და სხვა. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. შესაბამისად „შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები".

**ინდიკატორი 2.3.2.3.. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**4. „შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით".**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საშუალებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრეზენტაცია და სხვა. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით, რაც მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების საშუალებას იძლევა. დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის აკადემიური დონე და განვითარების დინამიკა. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და იმუშავებენ სასკოლო კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შმუშავებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული დავალებები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. შესაბამისად, „შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით".

**ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კათედრების ოქმები;*
- *მოსწავლის ისგ გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შეფასების კრიტერიუმები.*

შეფასება:

**[x] შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **„იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“ .**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და მიგნებებს. სკოლას აქვს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავების გამოცდილება მიმდინარე ან წინა სასწავლო წლის სასწავლო პროცესების შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნულ რეკომენდაციებს სკოლა ითვალისწინებს როგორც მოდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის, ასევე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში, რამაც ხელი შეუწყო სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესისათვის საჭირო დოკუმენტაციებისა და მასალების სრულყოფასა და მიზნობრივად გამოყენებას. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

გათალისწინებით შემუშავდა ახალი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. ამდენად, სკოლას აქვს მზაობა ამ მიმართულებით - ,,იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი“ .

**ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

2. **,,კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს“**
სსიპ ქალაქ თბილისის N213 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ - გაწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განახლება მოხდება ყოველწლიურად, სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ყურადღება მახვილდება იმაზე თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესები (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- მასწავლებლის პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გამოვლენილი პრობელების გადასაჭრელად;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის.

შესაბამისად, ,,კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს“.

**ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დანართი N192 მათემატიკის კურიკულუმები საშუალო საფეხური;*
- *დანართი N175 სასკოლო-კურიკულუმის-შემუშავების-მეთოდოლოგია;*
- *დანართი N189 შიდა ხარისხის კონცეფცია - მონიტორინგი და შეფასება;*
- *დანართი N12 სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია საჯარო 213;*
- *დანართი N 0187 ბრძანება N 2-48 ხარისხის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;*
- *დანართი N56 ხარისხის-მექანიზმი;*
- *დანართი N 027 კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *დანართი N 14 სამეურვეოს საბჭოს ოქმი N1 24,,6,22;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

- *დანართი N49 მათემატიკის ისტის კათედრის ოქმი N13;*
- *დანართი N187 სსგ გადახედვის და გაუმჯობესების მექანიზმები;*
- *დანართი N189 შიდა ხარისხის კონცეფცია - მონიტორინგი და შეფასება;*
- *დანართი N198 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციი ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე : __

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი _ **ნანა მიქავა**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი _ **ირინა გოგონაია**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი_ **თეონა მაცაბერიძე**

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი _ **ზურაბ ურიადმყოფელი**

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი _ **თამარ ძველაია**

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი _ **ლილი კაცაძე**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი_**ლია ცერცვაძე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი_ **მაია ჩაჩხიანი**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-**ნათია ბრეგაძე**

სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი _ **ედუარდ ნაკაიძე**

**20.11 23წელ**
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---